# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 23 აგვისტო, 2012 წელი.

№161 (7037)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ჩვენი ერი ჩვენვე უნდა გადავარჩინოთ! ③



## ჯონდი ბაღათურია: ასე ადვილი ჩასაყლაპი არ ვარ ④

## გავერთიანდეთ მომავალი საქართველოსთვის! ⑤

## როგორ ჩაიბარებს ტესტს სახელმწიფო აუდიტის სამსახური?



„ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული მიმართვა ევროსაბჭოდან ⑧

## ამერიკელი გენერალი კავკასიის კონფლიქტებზე FOREIGN POLICY-ში სტატიას აქვეყნებს

## გამოიყენებს აშშ დიდი სიზუსტის სუპერბომბს ირანის წინააღმდეგ? ⑥

## „მაგთისატი“ და „სეტანტა“ საფეხბურთო სეზონზე გიწვევთ ⑦



## ბოსნიიდან სლოვენია გამოჩნდა ⑩

მოგვისმინეთ!

# სანამ კიდევ არ არის გვიან...

## კეთილმოსურნის რამდენიმე შენიშვნა „ქართული ოცნების“ მესვეურთა საყურადღებოდ



ბატონო ბიძინა, თავს უფლებას არ მივცემ, დიდხანს მოგაცდინოთ და პირდაპირ გადავალ სათქმელზე. საარჩევნო კომისიათა წევრებს რომ არჩევნებისას უდიდესი როლი ენიჭებათ, ფაქტია, ახლახან საარჩევნო კომისიათა წევრების აღრიცხვას და მათთან გასაუბრებას (თუ შეიძლება ამას, საერთოდ, გასაუბრება ეწოდოს?!ძ შევესწარი – კომისიების მომავალ წევრებსაც, სათავო ოფისში მათ მომლოდინე ჩინოვნიკებსაც დავაკვირდი და... მეტად დამწუხრებული გავბრუნდი შინ – გამაოგნებელი პროფესიული უუნარობა და ინტელექტუალური სიღარიბე ვიხილე ორსავე მხარეს.

სამი საათის განმავლობაში ვაკვირდებოდი თითქმის მზეზე დგომისგან დაქანცულ, გასაუბრებაზე მოსულ 200 მეტ ადამიანს. ვესაუბრე მათ და, სამწუხაროდ, აღმოვაჩინე, რომ მათგან 99.9 % არც კი იცის, რომ კომისიაში სამუშაოდ საჭიროა, მცირეოდენ მაინც, იცნობდეს კონსტიტუციას, კანონს „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“, საქართველოს საარჩევნო კოდექსს, რეგლამენტს და სხვა საკანონმდებლო აქტებს. ვერანაირი ე.წ. „ტრენინგი“ ამ ხარვეზს ვერ გამოასწორებს – სულ სხვა კონტინგენტია შესარჩევი.

ასე ზერელედ და წინდაუხედავად საარჩევნო კომისიების წევრებით დაკომპლექტება კიდევ ერთ საშიშროებას მოიცავს: სულ არ გამიკვირდება თუ აღმოჩნდება, რომ საარჩევნო კომისიებში „ოცნების“ წარმომადგენლების უმეტესობა მთავარი პოლიტიკური ოპონენტის შემოგზავნილი ხალხი აღმოჩნდა... ერთი მხრივ, თქვენი თანამშრომლების დაბალი დონე პოლიტიკური სუბიექტის მარგინალიზებას ეხმარება. მეორე მხრივ კი ეს საკუთარი ხელით გაყალბების ორგანიზებაა.

საერთოდ, ბატონო ბიძინა, პოლიტიკური პარტიის თუ პოლიტიკური კოალიციის შიდა ცხოვრების წესი, ერთმანეთთან და სავარაუდო ამომრჩევლებთან ურთიერთობის სტილი, იქ მისულ საზოგადოებას, ძალაუნებურად, იმ სახელმწიფო ცხოვრების მოწყობის მოდელზე მიანიშნებს, რომელსაც ეს პოლიტიკური პარტია თუ პოლიტიკური კოალიცია დეკლარირებულად ჰპირდება. თუ თქვენთან მოსული ადამიანი ხედავს, გრძნობს დაპირებულსა და ნანახს შორის უზარმაზარ სხვაობას – მასში გაკვირვება და გულგატეხილობა იბუდებს. ეს კი, ამომრჩევლის სავარაუდო დაკარგვის ნიშანია. თუ ეს ადამიანი არ ამხელს საკუთარ გულგატეხილობას, ის ან მიტმასნილი მარგინალია, ან პოლიტიკური დივერსიით შემოპარული აგენტი. ამიტომ არსებულ ვითარებას თავის მართლება არ სჭირდება. იმის ახსნა, რომ ამ „ცხელ პერიოდში“ ნაკლოვანებები ბუნებრივად მოსალოდნელიცაა და მისატევებელიც, იწვევს დაბნეული სტუმრის ზრდილობიან თანხმობას, მაგრამ, ფსიქოლოგიურად, ეს ადამიანი „ოცნებას“ უკვე რამდენადმე დაშორებულია.

ვიცი, სულაც არ არის სასიამოვნო არც ამის თქმა და არც მოსმენა, მაგრამ მხოლოდ კეთილი სურვილები მალაპარაკებს. ამიტომ, სანამ ჯერ კიდევ არის დრო, ბატონო ბიძინა, სათანადო ზომები მიიღეთ.

**მალხაზ ჟვანია,**
პოლიტტექნოლოგი, საინფორმაციო პოლიტიკის ექსპერტი

ფეისბუქიდან

# „მაგ სიმართლით გევლოს, წერეთელო!“

**„ძალიან ბევრ ადამიანს სურს, რომ სააკაშვილის კარიერა არ დასრულდეს,“** – განუცხადა უმრავლესობის წარმომადგენელმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა ჟურნალისტებს.

„ლოგიკა ამბობს, რომ არ დასრულდება“ – განმარტა მან.

მისივე თქმით, თუ სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნება, ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკაში ყოფნის უფლება არ აქვს.

**„სააკაშვილს აქვს უფლება, იყოს პოლიტიკაში ამა თუ იმ პოზიციაზე. რაც შეეხება იმას, გახდება თუ არა პრემიერ-მინისტრი, შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერი უკვე ჰყავს, რომელსაც 4-წლიანი გეგმა აქვს განსახორციელებელი“,** – განაცხადა წერეთელმა.



**აი „ტრიბუნა-გე“-ზე გამოქვეყნებული კომენტარები:**

**2X2 – ყველაფრისტს!**
ამაზე დიდი მედროვე თუ გინახავთ, ან გაგიგონიათ ვინმე ან სადმე ვინმეს?!

**გიგი წერეთელო!**
„შენ კარგად ვერ გაგიგია – ძალიან ბევრ ადამიანს სურს, რომ სააკაშვილის კარიერა არ დასრულდეს კი არა, საქართველოს მოსახლეობის 90% სურს, რომ სააკაშვილი შენთან და შენნაირებთან ერთად მალე გაუშვას მოუსავალში...“

**ტოლა – რას ამბობთ**
„ეს თქვენ, რუსეთის ხალხს არ გინდათ და ერთი სული გაქვთ როდის წავა სააკაშვილი, მაგრამ უმრავლესობა არ იზიარებს ზოგიერთების აზრს. მიშას არც აქვს წასვლის უფლება, კარგა ხანი დარჩება ხელისუფლებაში.“

**ჩ:** „მაგ სიმართლით იარა შენმა ოჯახმა, გიგი წერეთელო. ქართველების 99 პროცენტი იმაზე ოცნებობს, როდის გადაშენდებით საქართველოდან, თუ გაგიშვეს და ციხეებში არ დაგალპეს, კი..“

შეკრიბა
**ნატა ნიბლაძემ**

პროტესტი

# რატომ გაათავისუფლეს კვალიფიციური ლექტორები

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის 25-მა ლექტორმა პროტესტის ნიშნად უნივერსიტეტი დატოვა. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „პირველს“ ილიას უნივერსიტეტის უკვე ყოფილმა ლექტორმა გიორგი მიქანაძემ განუცხადა.**

**„გაათავისუფლეს ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მაია გონაშვილი და ამავე ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი აკაკი ცომაია. გარდა ამისა, ორივე მათგანი იყო კონკურსში გამარჯვებული და ადმინისტრაციულის გარდა, აკადემიური თანამდებობაც ჰქონდათ, მაგრამ ორივე დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მაია გონაშვილი არის ადამიანი, რომელმაც ამ ფაკულტეტის შენება თავის გუნდთან ერთად დაიწყო, ფეხზე დააყენა, რეიტინგი მისცა. რამდენიმე თვის წინათ მოსული დეკანი იბარებს და ეუბნება მას, რომ განთავისუფლებულია ორივე თანამდებობიდან. ასე არ შეიძლება. მით უმეტეს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლებას თავის პროცედურები აქვს. არ ვიცი, რა ინტერესების მსხვერპლი გახდა მაია გონაშვილი, მაგრამ ფაქტია ის, რომ ამ ფაკულტეტზე არ ხდებოდა ჩაწყობები და ნაცნობობით ნიშნის დაწერები. ვცდილობდით, სამართლიანად გვემართა პროცესები“,** – განაცხადა მიქანაძემ.



მისივე თქმით, დღეს ილიას უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის 25 ლექტორის წერილი გაიგზავნა რექტორთან, სადაც ისინი, პროტესტის ნიშნად, აღნიშნულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ.

ილიას უნივერსიტეტიდან თანამშრომლების წასვლის ფაქტს, უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძეც ადასტურებს და აცხადებს, რომ აღნიშნული ფაქტი ნამდვილად უკავშირდება ერთ-ერთი თანამშრომლის გათავისუფლების ფაქტს, თუმცა უნივერსიტეტს კანონი ამით არ დაურღვევია.

**რუსიკო უშიკიშვილი**

ინფორმაცია

# „ქართუ ბანკსა“ და „ქართუ ჯგუფს“ დაყადაღებას უპირებენ



**„ქართული ოცნების“ წევრი, ადვოკატი არჩილ კბილაშვილი არ გამორიცხავს, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში , აღსრულების ეროვნულმა ბიურომ „ქართუ ჯგუფისა“ და „ქართუ ბანკის“ აქციები ხელმეორედ დააყადაღოს.**

**ამის შესახებ კბილაშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ ამ სცენარის გამეორებას ვარაუდობს.**

**– თუ ბიძინა ივანიშვილი ჯარიმას არ გადაიხდის, მაშინ სააღსრულებლო სამსახური იძულებით აღსრულებას დაიწყებს. ერთხელ უკვე ვნახეთ, როგორ წარიმართა იძულებითი აღსრულება – მათ დააყადაღეს და აუქციონზე გაიტანეს ის ქონება, რომელიც ბიძინა ივანიშვილს არ ეკუთვნოდა. თუ ერთხელ უკანონობა გააკეთეს, მე ვვარაუდობ, რომ ისინი ამას მეორედაც გაიმეორებენ. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ „ქართუ ჯგუფისა“ და ბანკ „ქართუს“ აქციები ხელმეორედ დააყადაღონ, აუქციონზე გაიტანონ, ვერგაყიდვის შემთხვევაში კი იძულებითი მმართველი დანიშნონ ან პირდაპირ დაისაკუთროს სახელმწიფომ. შეიძლება, უბრალოდ, პირველი სცენარიდან ცოტა განსხვავებული ხელწერა მივიღოთ, – განმარტა კბილაშვილმა.**

**რაც შეეხება კახი კალაძეს, კბილაშვილი იგივე მეთოდით ვარაუდობს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერისთვის დაკისრებული 17 მილიონამდე ლარის ამოღებასაც.**

**– არ ვიცი, კახი კალაძეს რა ქონება აქვს, მაგრამ ალბათ, აღსრულება იგივე სცენარით მოხდება, რაც ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში არის სავარაუდო. მოსალოდნელია, რომ მის ქონებას ან მართვაში გადასცემენ ან სახელმწიფო მას პირდაპირ დაისაკუთრებს. უნდა ველოდოთ ან ერთს ან მეორეს, – აღნიშნა კბილაშვილმა.**

ინტერპრესნიუსი

დედაქალაქი

# თბილისობა 6-7 ოქტომბერს გაიმართება

**როგორც თბილისის მერიიდან იტყობინებიან, ტრადიციად ქცეული თბილისობის დღესასწაული წელს ოცდამეთოთხმეტეჯერ გაიმართება. სადღესასწაულო ღონისძიებები თბილისის ძველ უბანში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ჩატარდება.** ტრადიციულად მეიდანზე დაიდგმება საწნახელი, აბანოთუბანში გაიმართება ფოლკლორული ანსამბლების კონცერტები, ხილისა და ჩაის ფესტივალები, ავტოშოუ, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ახალგაზრდა პოეტების საღამო და ლიტერატურული კონკურსის „გალას“ დაჯილდოება.

საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში საპატიო თბილისელებს ქალაქის მერი დააჯილდოვებს, რომლის პარალელურადაც, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების გალერეაში ქართული სამკაულების ისტორიისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართება. ასევე, წარმოდგენილი იქნება საქართველოს ეროვნული საგანძურის ექსპონატების სამგანზომილებიანი ფოტო-გამოფენა. საზეიმო ღონისძიებები ევროპის მოედანზე გალა კონცერტით დასრულდება.



ინტერპრესნიუსი

ფიქრები

**ჯერ უმთავრესზე: 19 აგვისტოს ივანიშვილს, ბატონ ბიძინას, რუსთავი მოუთმენლად კი ელოდა, მაგრამ ერთგვარი ეჭვი მაინც იყო: ახლა, ამ ცხელ აგვისტოში, როდესაც ქალაქი სანახევროდ დაცლილია, მერე ამ ხელისუფლების მიერ დაშინებულნი ცალკე, ბევრი კიდევ ტვინგადაბრუნებული...**

**მაგრამ მოლოდინმა ყველაფერს გადააჭარბა, ნამდვილად არ ჩამოვრჩით თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, გურიას...**

**მე რომ მეგონა, ჩემი ქალაქის მაჯისცემას ვაკონტროლებდი, გაოცებული დავრჩი.**

**ჯერ კიდევ ვყოფილვართ — ერთმანეთს ვულოცავდით წლობით უნახავნი.:**

**ეს ახალგაზრდობაც...**

**აი, ბუნებამაც გამოცდა რომ მოგვიწყო, ეგეთი წვიმა, ისეთი ცივი წვეთები, სადაც დაგეცემოდა, გაგყინავდა, მერე თქეშიც...**

**— ხომ არ შევწყვიტოთო, — შეწუხდა ბატონი ბიძინა.**

**— არა, არაო, — იგუგუნა ხალხმა.**

**— ეს, ალბათ, მიშამ ჩაგვიწყოო, — იხუმრა ვიღაცამ.**

**— ფეხი არ ჩაუვაო...**

**დიახ, დიდი ფორუმი შედგა, სტუმარ-მასპინძელნი უზომოდ კმაყოფილი და გახარებული დავშორდით ერთმანეთს.**

# ჩვენი ერი ჩვენვე უნდა გადავარჩინოთ!



უცნაური ბრინჯაოს თოჯინები ჩამოამწკრივეს და მხოლოდ მიშამ რომ უწყის, საიდან ჩამოყვანილი უამრავი ადამიანი რომ შეჰყარეს, კი იყვირა თუ წამოცდა, რუსთავი ინდუსტრიული ცენტრიაო, მაგრამ ის არც დაცდენია, იმ 40 სამრეწველო საწარმოდან, რომელიც მოქკავშირისა და მისი მემკვიდრე ნაცების მმართველობისას მიწასთან გაასწორეს, თუნდაც ერთს მაინც გავაცოცხლებო, არადა ათასობით ადამიანს სამუშაო არა აქვს. პროფესიონალები ხეებივით ზეზეულად ხმებიან და ილუპებიან, კვდებიან... სულ რაღაც წლების წინათ რუსთავში 40 ათასი ადამიანი მუშაობდა. აქ დამზადებული პროდუქცია საზღვარგარეთის 18 ქვეყანაში იყიდებოდა. აქაურ სპეციალისტებს ახალ-ახალი

დიდი-დიდი 25 წუთი გვჭირდება იქ ჩასასვლელად. ოღონდ ფული იყოს და.

მიშამ 2004-06 წლებშიც გაგვაბრუა, როდესაც მეტალურგიულ კომბინატს ორჯერ ეწვია.

პირველად გადაირია, ეს რამხელა რამ ყოფილა, აქ 8 ათას კაცს ისევ დავასაქმებო!

მეორედ ვინმე ჯოზეფ კეი მოგვიყვანეს აი ეს არის პატრონიო, ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილება იყო ქარხანა იმ დროს, მაშინ 3 ათასი კაცი მუშაობდა.

ის იყო და ის, დაიწყო ქარხნის ნგრევა, ჯართად გაყიდვა, ჯერ გიგანტი მარტენი აართქლეს, მერე საგლინავი საამქროები, უნიკალური მილსაადიდი საამქროს ადგილას ახლა ქვა-ღორღი დარჩა მხოლოდ.

მოკლედ ვიტყვი — ქალაქის 44 სამრეწველო საწარმოდან, სამშენებლო სამონტაჟო ორგანიზაციებიდან, სადაც 90 ათასი კაცი იყო დასაქმებული, დღეს ორი თუ სამი ლაფავს სულს.

ამიერკავკასიაში კი არა იმის იქითაც ერთადერთი აზოტის ქარხანა, მინერალური სასუქების მწარმოებელი, სადაც 3 ათასზე მეტი სპეციალისტი იყო დასაქმებული, 2 ათასამდე ჩამოალაბორანტეს. და როდის აფეთქდება და რუსთავსაც თან გაიყოლებს, ღმერთმა უწყის! არადა, მისი განახლება 10-15 წლის წინათ უნდა დაწყებულიყო.

ქიმიური მრეწველობა, თავისი სპეციფიკის გამო, ყოველ 20 წელიწადში ერთხელ ხელახლა უნდა შენდებოდეს. ანუ საჭიროებს სრულ განახლება-რეკონსტრუქციას. მაგრამ დღეს ამაზე არავინ ფიქრობს, რადგან ეს ხელისუფლება მხოლოდ ერთი დღით ცხოვრობს, მომავალზე მზრუნველი არავინ ჩანს.

და აი, გამოჩნდა, ღვთის ნება იყო, ალბათ, ბატონი ბიძინა ივანიშვილი. მან თავის გამოსვლაში, შეიძლება ითქვას, მეცნიერული ანალიზის საფუძველზე პროფესიონალი დასტაქარივით ჩამოაყალიბა, როგორ უნდა უმკურნალოს რუსთავს, როგორ ააღორძინოს და განავითაროს ბიზნესი, დანგრეული მრეწველობა, როგორ გადაარჩენს მეტალურგიულ კომბინატს, როგორ შექმნის ყველა ადამიანისათვის ცხოვრების ნორმალურ პირობებს.

და კიდევ, ბატონმა ბიძინამ რუსთაველებს „ქართული ოცნების" დეპუტატობის კანდიდატად წარმოუდგინა ეროვნული მოძრაობის მოღვაწე, მამულიშვილი ზვიად ძიძიგური, რასაც ათიათასობით ადამიანი დიდი ოვაციებით შეხვდა.

ოღონდ, ახლა მთავარია, 1 ოქტომბერს რა გადაწყვეტილებას მიიღებენ რუსთაველები, ჩვენი და ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ბედი ისევე ჩვენს ხელთაა...

ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი სამშობლო! ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ერი ჩვენი!!

ახლა კი იმაზე, თუ რისი თქმა მინდოდა:

— მაშ, მიდიხარ?

— რა ვქნა, ძალიან მიჭირს ხეობის დატოვება, აქაურობა სამოთხეა, იქ კი ძალიან ცხელაო, მაგრამ...

— დღეს ჰაერზე უფრო ის საქმეა საშური, რისთვისაც მიდიხარ. ქართველს ჰაერივით სჭირდება „ქართული ოცნება" — ჩემი ბორჯომელი მეზობელი და მეგობარი, სოფლის უხუცესი და ამაგდარი კაცი კუკური ხაჩიძე დიდრონი თვალებით მომაჩერდა. ერთ რამეს გთხოვ, ჩვენ, ტაშისკარელებს, ხომ დიდი გიორგი სააკაძის დღესასწაული გვაქვს, ყოველწლიური სახალხო ზეიმი, ჰოდა, ახლა ბიძინაობა უნდა დავაწესოთ, ამაზე უკვე ვზრუნავთ, პირადად მე ჩავუდექი სათავეში, ქვეყნის გადარჩენას ვიზეიმებთ, შენ ჩემი პირადი სტუმარი იქნები.

— მიშამ რომ თქვა დიდგორში, რა ფასადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ნაცებმა უნდა გავიმარჯვოთო.

— მიშა რასაც ამბობს, იმას რომ აჰყვე, ალბათ, გაგიჟდები. უკვე მოგვაბეზრა თავი, ნორმალური კაცი მის ლაყბობას სერიოზულად არ აღიქვამს, მან აგერ ბორჯომშიც დაახეთქა — ერთ მილიონ ტურისტს ჩამოვიყვანო, იქ მყოფნი გადარია. ხეობაში ამდენი მოსული არც დაეტევა. მერე ვინ უნდა მოემსახუროს, საჭმელ-სასმელი კი არა, თვით ბორჯომის წყალიც არ ეყოფა ამდენ დამსვენებელს, მაშ, ხომ მესტუმრები"?

— ეუჭველად, უეჭველად, — დავპირდი და შევუსრულებ. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ზეიმი გაიმართება, ამაში ხეობელთა შემართება, მათი საბრძოლო განწყობილება მაიმედებს. მე ხომ აქაურობას კარგად გავეცანი, ხაშურელების, ბორჯომელების და მთლიანად იქაურთა საბრძოლო სულისკვეთებისა მეიმედება, რა თქმა უნდა, საარჩევნო ყუთებთან ისე, როგორც შეშვენის ცივილიზებულ საზოგადოებას.

თუმცა, რაზეა ლაპარაკი, ცივილიზებულ საზოგადოებას ცივილიზებული ხელისუფლება უნდა ჰყავდეს. ჩვენ კი გესტაპოელებთან გვიწევს შიშველი ხელებით ბრძოლა. თუმცა, სიმართლე ხომ ჩვენს მხარესაა.

ბორჯომის ხეობის სამოთხეში ისედაც დიდხანს მომიწია ყოფნა, თუმცა დრო არც აქ დამიკარგავს, სოფელში, გზად ადამიანთა თავშეყრის ადგილებში, ყველგან ვაკეთებდი გასაკეთებელს, სააკაშვილისგან გონებადაბინდულთ, რაც შემეძლო ვმკურნალობდი.

ჩემს ქალაქში ცხელ დღეებში ცხელი ამბებიც დამხვდა. კიდევ კარგი, რომ 19 აგვისტოს ივანიშვილის ჩამოსვლის შესახებ სამეზობლოში იცოდნენ. მეც ამად ვიჩქარე, მაგრამ ამასობაში შენობასთან კოორდინატორებს რაღაც ლარებში სამშობლოს გამყიდველებს (მე ასე ვთვლი და... თუმცა, ყველას არაძ მოესწროთ თითოეული მოზინადრისთვის ჩამოევლოთ, გამოუკითხავთ ვის უჭერთ მხარსო, მხარდამჭერებს უხვად დაჰპირებიან. ვინც გაბედა და ნაცებს „არა" უთხრა, არც არაფერს დაჰპირდებიან, თუმცა, არც ერთი დარჩა წაგებული, ისე მოგებული ისაა ვინც ივაჟკაცა და „არას" თქმა გაბედა. ისე კი ისიც მითხრეს, მეზობლებმა ერთმანეთი გავაფრთხილეთ", ყველამ მხარდამჭერებად გავაცნოთ თავიო. ისე კი მიშას კოორდინატორებმა პირადობის მოწმობის ნომრები ჩაიწერეს, ვითომ არ იციან, მგონი, ხელიც მოაწერინეს. ერთი სიტყვით, ვისი დაშინებაც შეძლეს, დააშინეს, მაგრამ...

ჰოდა, ისედაც დასიცხულ, გადახურებულ ქალაქში სააკაშვილმა გადაწყვიტა, კიდევ უფრო აეწია ტემპერატურა. იმ დღეს ალალივით ჩამოუქროლა აქაურობას. ჯერ რუსთავიდან თბილისისკენ ახალი გზის მშენებლობის დაწყება იზეიმა, მოჰყარა უამრავი ტექნიკა, რომელიც ისევ ისე ახვეტეს იქიდან, როგორც კი ეს გამხსნელი წავიდა. არადა, რუსთაველებს 7-წუთიანი გზა დღეს არ სჭირდებათ. 20, 25 წუთში ისედაც ჩადიან დედაქალაქში. რუსთაველებს დღეს უფრო უმუშევრობა აწუხებს. კი ქალაქის ცენტრში, მერიის წინ, სადაც

ქარხნების ასამუშავებლად იწვევდნენ ინდოეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, სხვაგანაც. დღეს ეს პროფესიონალები დომინოს, ბანქოსა და ნარდის თამაშში კლავენ დროს, ან ლოთობენ და ასე უსახელოდ მიდიან ამ ქვეყნიდან.

რუსთაველებს კი ეცინებათ 7-წუთიანი გზის ხსენებაზე (არადა სატირალია!ძ, სადაც დიდი რაოდენობით ადამიანს დაასაქმებენ თურმე, არადა, ყველამ კარგად უწყის, რომ იქ უცხოელებს მისცემენ ასპარეზს, გზის მშენებლობა კი იმიტომ უნდათ, რომ იქ დიდ ფულს მოტეხენ, ბატონ ბიძინას, ქვეყანას ღმერთმა რომ მოუვლინა ამ განსაცდელის ჟამს, მილიონები აწაპნეს, მაინც ვერა და ვერ ივსება მათი გაუმაძღარი მუცელი.

კაცი, რომელიც ავირჩიეთ თუ არ ავირჩიეთ, მაინც პრეზიდენტი რომ ჰქვია და უზურპატორობს, დღემუდამ დაგვცინის, მასხრად გვიგდებს. აგერ 7-წუთიან გზას დაგიგებთო, დაგვაბოლა რუსთაველები, არადა 1944 წლიდან, რაც ქალაქის მშენებლობა დაიწყო, თბილისში ჩასვლის პრობლემა არ გვქონია.

**გივი ჯახუა.**

**რუსთავი-თბილისი**

**P. S. აქვე არ შემიძლია არ დავუბრუნდე წლევანდელ სააკაშვილისეულ დიდგორობას.**

**ლევან მამალაძის გუბერნატორობის წლებში (არადა, ხომ მაგრები არიან, მამალაძეს რომ მოგანატრებენ!) დიდგორობა ყოველწლიურად ტარდებოდა, თანაც ის იყო სახალხო დღესასწაული, თეატრალიზებული, ცხენ-მხედრებისა და მოლაშქრეთა სცენებით და სხვა.**

**მიშამ თავისი მოკეთე მამალაძე მოსვლისთანავე გააქცია ქვეყნიდან და მას შემდეგ დიდგორი ხელისუფლებას არ გახსენებია. მხოლოდ ახლა, საარჩევნოდ გაახსენდა და ისეთი რამეები ილაყბა, თავი კიდევ ერთხელ მოიჭრა.**

**გვჯერა, რომ მომავალ დიდგორობას ქართველი ერი გამარჯვებული იზეიმებს!**

**გ. ჯ.**

ინფორმაცია

# საუბრობენ უკანონო გარიგებაზე

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება"-სა და მმართველი პარტიის უკანონო გარიგებაზე საუბრობს. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობის" ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაშია აღნიშნული, ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება" არის იურიდიული პირი და მის მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" უსასყიდლოდ გადაცემული ვიდეოკლიპები უკანონო შემოწირულობას წარმოადგენს.**

**— მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარტიის მიერ უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა ითვლება შემოწირულობად. ამავე კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ა$^{1}$ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიტიკურ პარტიას ეკრძალება შემოწირულობების მიღება იურიდიული პირებისგან, — აღნიშნულია განცხადებაში.**

**„საერთაშორისო გამჭვირვალობაში" მიიჩნევენ, რომ გარიგების მონაწილე მხარეთა მიმართ უნდა გატარდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანული კანონით გათვალისწინებული ზომები — მიღებული/გადაცემული ქონების ხუთმაგი ოდენობით დაჯარიმება.**

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" სახელწიფო აუდიტის სამსახურს მოუწოდებს, შეისწავლოს აღნიშნული ფაქტი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.**

**20 აგვისტოს ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება"-ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გიგა ნასარიძემ განაცხადა, რომ ნებისმიერ პარტიას, რომელიც მათ პოზიციას იზიარებს, ორგანიზაცია უფასოდ სთავაზობს საარჩევნო თემატიკის ვიდეოკლიპებს. ნასარიძემ ასევე აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" უკვე გამოეხმაურა მათ შეთავაზებას და აღნიშნულ პარტიას უსასყიდლოდ გადასცეს ვიდეორგოლები, რომლებიც უკვე ზოგიერთი ტელეარხით გადაიცემა. აღნიშნულ ფაქტს მმართველი პარტიის პრესსპიკერი ჩიორა თაქთაქიშვილიც ადასტურებს.**

ინტერპრესი

## რეზონანსი

**ჩვენი გაზეთის ა. წ. 17 აგვისტოს ნომერში (№158) გამოქვეყნდა 2008 წლის აგვისტოს ავბედითი მოვლენებისადმი მიძღვნილი ნიკა იმნაიშვილის წერილი „შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება?“, რომელმაც მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. სარედაქციო ფოსტიდან ერთ-ერთი შევარჩიეთ, რომელსაც დღეს გთავაზობთ:**

ბუნებრივია, რთულია რაიმე მოვლენაზე მსჯელობა და საკუთარი შეფასებების გაკეთება, როცა არა გაქვს საკმარისი ფაქტობრივი მასალა. მით უმეტეს რიგითი მოქალაქეებისთვის ძნელია ისეთ მოვლენაზე საჯაროდ მსჯელობა, როგორიც არის 2008 წლის აგვისტოს ტრაგედია, რადგან, გარდა სანდო ფაქტობრივი მასალების არცოდნისა (ყველას არ მიუწვდება ხელი არც ტალიავინის კომისიის დასკვნაზე, არც ბ-ნ გ. ყარყარაშვილის წიგნზე და არც პარლამენტის შესაბამისი კომისიის მასალებზეძ,. არის იმის სერიოზული შიშიც, რომ რაიმე სიტყვით თუ მოსაზრებით კიდევ ერთხელ არ ვატკინოთ გული ტრაგედიის დროს დაღუპული გმირების ჭირისუფალთ. დამეთანხმებით, რომ ომში დაღუპული გმირების ჭირისუფალნი ვართ ისინიც, ვისაც კიდევ აინტერესებს კითხვა — შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება.

ალბათ, დამეთანხმებით იმაშიც, რომ ამ კითხვაზე ობიექტური პასუხი იმაზე მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე წარსულში მომხდარ ტრაგედიაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრა, რადგან საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, პრობლემები არც 2008 წლის აგვისტოში იწყება და მთავრდება, და თუ შეცდომაა დაშვებული, ამის ცოდნა აუცილებელია, უწინარესად, მომავლისთვის. ხოლო თუ მიუხედავად საკმარისი და პოლიტიკურად სწორად გადადგმული ნაბიჯებისა, ომი ვერ იქნა თავიდან აცილებული, ალბათ, გამოსატანია სხვა ტიპის დასკვნები.

იმის მიუხედავად, რომ როგორც ბევრ თანამოქალაქეს, მეც მაქვს საკუთარი მოსაზრება ომის თავიდან აცილების შესაძლებლობებზე. ნიკა იმნაიშვილის სტატიაზე „შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება?“ გამოხმაურების მიზანი არ გახლავთ ამ თემაზე მსჯელობა, რადგან, ჩემი აზრით, ამისთვის საჭიროა იმ სამხედრო და პოლიტიკური ექსპერტების მოსაზრებათა გასაჯაროება და განხილვა, რომლებსაც აქვთ მაღალი კვალიფიკაცია, ავტორიტეტი და პოლიტიკურად ნაკლებად ანგაჟირებული არიან. მოგეხსენებათ, პოლიტიკური ტვირთი ათკეცდება წინასაარჩევნო პერიოდში. ის კი, რამაც გადამაწყვეტინა, გამოვხმაურებოდი აღნიშნულ სტატიას, არის შიში, რომელიც ჩემდა უნებურად გამიჩნდა სტატიის კითხვისას — **ხომ არ გვაჩვევენ რუსეთის სამხედრო-ეკონომიკურ კავშირში შესვლის იდეას?**

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, თქვენს ყურადღებას შევაჩერებ რამდენიმე კითხვაზე, რომლებიც გამიჩნდა წერილში მოყვანილი ზოგიერთი მოსაზრების თაობაზე.

დასაწყისში ვკითხულობთ: **„სანამ ამ კითხვაზე** (შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება — **ავტ.ძ არასასიამოვნო პასუხს გავცემდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ თვით საკითხის ასე დასმა ჩვენი საზოგადოებისთვის თვისებრივი ერთი ინტენციის გამოხატულებაა — რთულ კითხვებზე იოლი პასუხის მოთხოვნა. ხოლო თუ პასუხი ფსიქოლოგიურად არაკომფორტულია, იგი დაუყოვნებლივ იწვევს აგრესიას“**. სტატიის ავტორი ამ მოსაზრების დასადასტურებლად მოჰყავს ამერიკელი სოციო-ფსიქოლოგის ლეონ ფესტინგერის მოსაზრება — **„როდესაც გარემო და ამ გარემოს მიერ წარმოქმნილი არგუმენტები ეწინააღმდეგება ინდივიდის შინაგან რწმენას, მის ღირებულებებს (მაშასადამე საბოლოო ჯამში იდენტობასაც), იგი იმდენად მტკივნეულად განიცდის დისონანსს, რომ ხდება საშინლად აგრესიული: „რატომ ამბობ, რომ ომის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო?!!“**

რატომ ჰგონიათ, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა უნდა განიცადოს დისკომფორტი და გახდეს აგრესიული, თუ სარწმუნო და ობიექტურ ფაქტებზე დაყრდნობით დარწმუნდება იმაში, რომ ომის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო?

მე მგონია, პირიქით უნდა იყოს, რადგან გვაქვს ისტორიული მეხსიერება, რომელიც გვკარნახობს, რომ ჩვენ რუსეთის წინაშე მართალი ვართ და რომ მისგან ყველაფერი მოსალოდნელია. თუ დავეყრდნობით ლეონ ფესტინგერის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, **რუსეთის მეზობლობა და მისი მრავალსაუკუნოვანი დაუფარავი იმპერიული ზრახვები სწორედ ის გარემო და მის მიერ წარმოქმნილი არგუმენტებია, რომლებიც ვერ მოვა წინააღმდეგობაში ქართველთა უმრავლესობის იმ შინაგან რწმენასთან, რომ რუსეთისგან მოულოდნელი არ იყო ის, რაც გააკეთა.**

**ალბათ, თუ საუბარია შინაგან რწმენასა და გარემოს შორის დისონანსზე, ჩვენს შინაგან რწმენასთან უთანხმოებაში მოვიდა არა რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან დაპირისპირება ჩვენსავე ტერიტორიაზე, არამედ**

# არც ისეა საქმე...

## ეხმაურებიან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პუბლიკაციას



**ეროვნული მაუწყებლობის ეკრანებიდან იმის ნახვით გაკვირვება, თუ როგორ მსჯელობდნენ პრეზიდენტი და კულტურის მინისტრი რუსეთის ჩარევის ალბათობაზე 50/50-ზე და როგორი კმაყოფილი იყო უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი იმით, რომ რუსეთი არ ერევა კონფლიქტში.**

ვერ დავეთანხმები სტატიის ავტორს იმაში, რომ ცხინვალში 2004 წლის ზაფხულში ქართველების დაჩოქების გამო პრეზიდენტის ღამ-ღამობით კოშმარული სიზმრები ომის დაწყების ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება გამოდგეს. მოგეხსენებათ, თუ რა ტიპის მმართველები და რომელ ეპოქაში იწყებდნენ ომებს ცუდი სიზმრების გამო.

რა უფრო მეტ დისკომფორტს ან აგრესიას იწვევს: ზოგადად ის, რომ საზოგადოებაში ჩნდება კითხვა და მასზე პასუხის მისაღებად არ არსებობს ობიექტური ინფორმაცია თუ ის, რომ სახელმწიფო აძლევს საზოგადოებას საშუალებას, ობიექტურ ფაქტებზე დაყრდნობით თავად გასცეს ამა თუ იმ კითხვას პასუხი ისე, რომ მოქალაქე, რომელსაც ექნება სახელმწიფოსგან განსხვავებული პოზიცია, ქვეყნის მტრად არ იქნება აღქმული?

ხომ არ ვცდები იმაში, რომ კითხვების გაჩენამ და მასზე პასუხის მიღების მოთხოვნილებამ განაპირობა ადამიანის ჩამოყალიბება და ცივილიზაციის პროცესების განვითარება? რატომ გვგონია, რომ ჩვენი საზოგადოება რთულ კითხვებზე მხოლოდ იოლ პასუხებს ელის? იქნებ რთული პასუხის გაგება ჩვენთვისაც შესაძლებელია?

აღნიშნული სტატიის არსი, იმის მიუხედავად, რომ ირიბად გვამცნობს საქართველოს მხრიდან ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყების ფაქტს, ვფიქრობ, ძალიან ჰგავს ბოლო დროს საარჩევნო მარათონში ჩაბმული ხელისუფლების მრავალი წარმომადგენლის იმ დასაბუთებას, რომ რუსეთი იყო, არის და იქნება საქართველოს მტერი, საერთაშორისო თანამეგობრობას არ ძალუძს რუსეთის მომავალი აგრესიის შეკავება და თუ საქართველომ არ განაცხადა უარი ნატოში გაწევრებაზე, არ დათანხმდა ევრაზიულ კავშირში გაწევრებას და არ აღიარა აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, აზრი არა აქვს ხელისუფლებასთან სახელმწიფო დონეზე ურთიერთობის დამყარებას და უნდა დავრჩეთ რუსეთის აგრესიის მოლოდინში. ამ ტიპის მოსაზრების დამკვიდრებასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ, როგორც გვიმტკიცებენ, სანამ რუსეთი არ დაიშლება, ნატოში გაწევრების გარდა სხვა დაცვის მექანიზმი არა გვაქვსო, რიგითმა მოქალაქემ ვითარება შემდეგნაირად შეიძლება წარმოიდგინოს:

**1. გაეროსა და ევროკავშირის რეზოლუციებით ვერ ხერხდება ვერც საქართველოს დეოკუპაცია და ვერც რუსეთის აგრესიის შეკავება;**

**2. სანამ საქართველო ნატოში არ გაწევრებულა და რუსეთი არ დაშლილა, საქართველო დაუცველია რუსეთის აგრესიის წინაშე;**

**3. რადგან ომის მიზანი — საქართველოს ოკუპაცია — მიღწეული არ არის, საკმარისია რაიმე უმნიშვნელო რეალური თუ გამოგონილი საბაბი იმისათვის, რომ რუსეთმა დაიწყოს საქართველოს წინააღმდეგ ომი და ამ ომში საქართველოს გამარჯვების შანსი ობიექტურად არ აქვს (ალბათ, გვახსოვს ის, რომ რუსეთის დუმას კარგა ხანია მიღებული აქვს კანონი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ სამხედრო ოპერაციების წარმოების დასაშვებობაზე);**

**4. საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ობიექტი დიდი ხანია რუსული კაპიტალის და, შესაბამისად, რუსეთის კონტროლქვეშაა და ამით არაფერი დაგვშავებია: პირიქით, ხელისუფლება არც ომის შემდეგაა რუსული კაპიტალის შემოსვლის წინააღმდეგი.**

თუ ჩავთვლით, რომ ეს ვითარება რეალობას შეესაბამება, რაშიც მე პირადად ეჭვი მეპარება, რასაკვირველია, პიროვნებაც და საზოგადოებაც იწყებს ფიქრს თვითგადარჩენაზე და აანალიზებს არჩევანის ვარიანტებს, რათა ფსიქოლოგიურად მაინც იყოს მზად მოვლენების არასასურველი სცენარით განვითარებისას.

არჩევანის რა ვარიანტები შეიძლება გაგიჩნდეს მოქალაქეს აღწერილ ვითარებაში?

**1. გავაგრძელოთ რუსეთთან კონფრონტაცია, რუსეთის რეაქციის მიუხედავად ვიაროთ ნატოსკენ, სანამ რუსეთი არ დაიშლება, საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დავტოვოთ რუსეთის ხელისუფლების კეთილი ნების ამარა და დაველოდოთ, როდის ჩათვლის რუსეთი საჭიროდ ქვეყნის მთლიან ოკუპაციას, დაშლას და ქართველობის, როგორც ერის, გადაშენების პროცესის დაწყებას.**

**2. დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება და თუ მაინცდამაინც „ევრაზიულ კავშირში“ გაწევრების გარეშე ეს ვერ მოხერხდება, მაშინ შევიდეთ ამ კავშირში მაინც — ისედაც რუსეთის ხელშია ეკონომიკური ბერკეტები და რუსეთის ბაზარიც საჭიროა — ხომ შევედით სოხუმის დაცემის შემდეგ სნგ-ში?**

როგორ ფიქრობთ, რომელ ვარიანტს აირჩევს არსებულ ვითარებაში მყოფი ჩვენი ქვეყნის ერი თუ მოქალაქე — დაღუპვას თუ გადარჩენას? სავარაუდო პასუხი — გადარჩენა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ქვეცნობიერად მზად ვიყოთ იმისთვის, რომ არ განვიცადოთ დისონანსი და არ გავხდეთ საშინლად აგრესიული იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას დასჭირდა და შემოგვთავაზა „ევრაზიულ კავშირში“ საქართველოს გაწევრება?

**საბედნიეროდ, ვითარება არ არის ისეთი ტრაგიკული (იმედია, არ ვცდები), როგორც ეს წარმოგვიდგენია: რუსეთი, რუსეთისავე ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ ამოვარდება საერთაშორისო თანამეგობრობის ურთიერთგავლენისა და თანამშრომლობის წრიდან და, ვფიქრობ, სწორი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში საზოგადოების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფით შესაძლებელია მტერთანაც ურთიერთობის ნორმალიზებაც, რისკების მინიმიზაციაც და, ამავდროულად, წინსვლა, განვითარება და დასახული მიზნების მიღწევა, ანუ ნატოში გაწევრებაც.**

**ანზორ ჭლიკაძე**

## ოპოზიცია

# ჯონდი ბაღათურია: ასე ადვილი ჩასაყლაპი არ ვარ

**„ყველა ოპოზიციური ძალა ერთად უნდა შევეცადოთ სააკაშვილის დამარცხებას და არა ერთმანეთისთვის ხმების წართმევას. მე ჩემი ოპოზიციონერი კოლეგების კონკურენტი კი არა, თანამებრძოლი ვარ“,** — აცხადებს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, რომელიც ცოტა ხნის წინ „განახლებული საქართველოსთვის“ ლიდერს მინდია გულუას შეხვდა.

**— ჩვენი ბოლო ინტერვიუს დროს განაცხადეთ, რომ ბიძინა ივანიშვილთან აპირებდით შეხვედრას. იყო საუბარი „ქართული დასისა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის შესაძლო კოორდინაციაზე. ეს თანამშრომლობა რატომ არ შედგა?**

— აჯობებს ეს შეკითხვები ბიძინა ივანიშვილსაც დაუსვათ. ამ საკითხზე ვმუშაობთ, მიდის მოლაპარაკებები. ბევრ საკითხზე ჩვენ ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ შევთანხმდით. მათ შორის იყო მოლაპარაკება მაჟორიტარების საკითხთან დაკავშირებითაც. ალბათ, ეს კითხვა იმიტომ დამისვით, რომ საბურთალოს მაჟორიტარული ოლქი იგულისხმეთ. ძალიან რბილ შეფასებას გავაკეთებ, — ამ საკითხზე გაუგებრობა მოხდა. ორივე მხარე ვმუშაობთ ამ თემაზე. „ქართულ დასის“ მიზანია, გამოვრიცხოთ კონკურენცია მაჟორიტარულ ოლქებში მაინც. სადაც ორი მაჟორიტარი კანდიდატი იქნება ოპოზიციიდან, იქ მაღალი ალბათობით „ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებს, სადაც რომელიმე ოპოზიციურ ძალას მომგები კანდიდატი ჰყავს და მას დავუყენებთ კონკურენტს, „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე დავასხამთ წყალს. ამას ჩვენც ვაცნობიერებთ და „ქართული ოცნებაც“. სხვადასხვა ოლქებში (თუნდაც დიდუბესა და წყალტუბოშიძ გვყავს ძლიერი კანდიდატები, მაგრამ არც ერთი არ დაგვისახელებია იმის გამო, რომ გვინდა ოპოზიციასთან კოორდინაცია გვქონდეს. დარწმუნებული ვარ ე.წ. გაუგებრობას მალე გასაგებს გავხდით ქართველი საზოგადოებისთვის.

**— საბურთალოს ოლქში, სადაც უკვე დასახელებულია „ქართული ოცნების“ კანდიდატი შეიძლება რამე შეიცვალოს?**

— აუცილებლად უნდა შეიცვალოს. თუკი რომელიმე ოპოზიციონერს ჩემთან აქვს კონკურენციის განცდა და ფიქრობს, — ჯონდის მაღალი რეიტინგი აქვს და სჯობს ჩავყლაპოთო, შეცდომაა.

იხ. 4 გვ.

◎ წერილი რედაქციას

# გავერთიანდეთ მომავალი საქართველოსთვის!

**პატივცემულო რედაქციავ, გიდასტურებთ თქვენდამი დიდ პატივისცემას და გიგზავნით სამი პარტიის: „თავისუფალი საქართველოს“, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ და „თეთრების“ მიერ მიმდინარე წლის 24 ივლისს გაკეთებულ საგანგებო განცხადებას „საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით“. განცხადების ტექსტი დღემდე არ გამოქვეყნებულა. ერთობლივ ბრიფინგზე წარდგენის შემდგომ იგი გადავუგზავნეთ პოლიტიკურ პარტიებს:**

„თავისუფალი დემოკრატები“; დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველო“; „ქართული ოცნება“; ეროვნული ფორუმი“; „საქართველოს გზა“; „კონსერვატიული პარტია“; „ხალხის პარტია“; „ქართული დასი“; „სოციალ-დემოკრატები“; „ქალთა პარტია“; „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“; „ჩემი საქართველო“.

წერილში ვწერდით:

> **„ჩვენ ოდნავადაც არ ვეჭვობთ, რომ ეს საკითხი აღელვებს რეალური ოპოზიციის ყველა სუბიექტს და მიუხედავად იმისა, როგორი განწყობაც არ უნდა გვქონდეს ერთმანეთის მიმართ, ჩვენს თანამშრომლობას თავისუფალი, დემოკრატიული და მშვიდობიანი არჩევნებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.**
>
> **ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ ამ თანამშრომლობას მომავლის საქართველოსთვის“.**

ერთი თვე გავიდა. არც პასუხი მიგვიღია და არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შევიტყვია მათი პოზიციის თაობაზე.

არადა, ჩვენ ვთვლით, რომ დღეს კიდევ უფრო გართულდა მდგომარეობა. აშკარაა, რომ სააკაშვილის და მისი გუნდის წევრების ყოველ გამოსვლაში იგრძნობა გაბოროტება, ხაზგასმით ვამბობთ, გაბოროტება, რომლის საფუძველია მოსახლეობის განწყობა მათ მიმართ და არავისთვის საეჭვო არ არის, რომ ამ ბოროტების პარტიას ხელისუფლების შენარჩუნების მხოლოდ ერთი გზა რჩება – გაყალბება.

ამ დოკუმენტის გამოქვეყნებით ჩვენ გვინდა საქართველოს მოსახლეობამ, ჩვენმა მეგობრებმა უცხოეთში, უცხოეთში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა იცოდნენ ჩვენი პოზიციის შესახებ, იცოდნენ, რომ ჩვენ დაჟინებით ვითხოვთ ერთიანი ფრონტის შექმნას ამ სულთამხუთავი რეჟიმის წინააღმდეგ, იცოდნენ იმის შესახებ, რომ ჩვენ მივმართეთ ამ დოკუმენტით სწორედ იმ პარტიებს, რომლებიც ჩვენის ღრმა რწმენით არასოდეს შევლენ გარიგებაში ხელისუფლებასთან.

ამ წერილის გამოქვეყნებით ჩვენ პრაქტიკულად ღია წერილს ვუგზავნით ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც დღეს რეალურად შეუძლია საზოგადოების უდიდესი ნაწილის გაერთიანება სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ.

არსებული რეალობა ადასტურებს, რომ ხელისუფლება აშკარად დაადგა არჩევნების გაყალბების მზაკვრულ გზას. ეს ქვეყნის დაღუპვაა. მისგან ქვეყნის გადარჩენა შეუძლია ხალხის, სახელმწიფო მოღვაწეების და ეროვნულად მოაზროვნე (და არა სკამებისათვის მებრძოლიძ პოლიტიკოსების ერთობას.

ყველანი ცალ-ცალკე ვაღიარებთ, რომ მაჟორიტარი დეპუტატებისათვის 30%-იანი ბარიერის დაწესება – ეს არის ავტორიტარული რეჟიმის გაბატონება და ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ. კარგად ნახეთ, ვის და როგორ ფულის ტომრებს ასახელებს მაჟორიტარ დეპუტატებად ხელისუფლება. რომ ერთადერთი გამოსავალი არის 50%-იანი ბარიერი. სამწუხაროზე სამწუხაროა, რომ ხელისუფლებას და მის სატელიტ პარტიებს არათუ აწუხებს ეს, არამედ მშვიდად გრძნობენ თავს. პირდაპირ ვთქვათ, ხელისუფლების სატელიტია ყველა ის პარტია, ვინც პარლამენტშია და ერთხელ არ გაამწვავა ეს საკითხი პარლამენტის სხდომაზე. ხელისუფლების სატელიტის ყველა ის პარტია, რომელიც დაგვიანებულად თვლის, ან საერთოდ არ მიაჩნია საჭიროდ 50%-იანი ბარიერის შემოღება. დაგვიანებული რომ არ არის, იმის გახსენებაც ადასტურებს, რომ 2003 წელს აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, ბეიკერმა აიძულა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, რომ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მიეღო პრინციპული ცვლილებები საარჩევნო კანონში.

ჩვენ, ვისაც რეალურად გვინდა ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა, დიქტატორული რეჟიმის დასრულება, რეალური დემოკრატიის დამკვიდრება, ვისაც გვინდა ღირსება დავუბრუნოთ საქართველოს მოქალაქეებს და ქვეყანა გავათავისუფლოთ „თავისუფლების ქურდებისაგან“ – როგორც ამას დიდი ვაჟა ამბობდა – ნუ გავხდებით ხელისუფლების მხარდამჭერნი ამ ქვეყნის დამანგრეველ პოლიტიკაში.

„თავისუფალი საქართველო“, „ტრადიციონალისტთა კავშირი“ და „თეთრები“ არ გავიყიდებით, ხელისუფლებასთან არ გავრიგდებით და ვიქნებით იმ პოლიტიკურ ძალებთან ერთად, რომლებიც თვლიან, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერი არის 21-ე საუკუნის საქართველოს დიდგორი და ამ წმიდა ბრძოლაში საქართველოსათვის ქართული ღირსებით დგას დეპუტატობის ის კანდიდატი, ვინც ხმებს არ ყიდულობს და ის ამომრჩეველი, რომელიც არჩევნებზე მიდის და ხმებს არ ყიდის.

**დავდგეთ ღირსებით მომავლის საქართველოსთვის!**

**კოალიცია „თავისუფალი საქართველოს“ სახელით**
**პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე**

**თემურ შაშიაშვილი**
2012 წლის 22 აგვისტო

## პარტია „თავისუფალი საქართველოს“, პარტია „ტრადიციონალისტთა კავშირის“ და პარტია „თეთრების“

# საგანგებო განცხადება

## საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით

ჩვენ შეშფოთებას გამოვხატავთ იმ დარღვევების გამო, რომლებიც ზედაპირულადაც ჩანს საარჩევნო სიებში და რომელთა შესახებაც ყოველდღიურად უმძიმეს ფაქტებს აქვეყნებენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

ჩვენ შეშფოთებას გამოვხატავთ იმის გამო, რომ სახელისუფლებო პარტიამ აბსოლუტურად უკონტროლო გახადა პარტიის ფულადი შემოსავლები და ხარჯები, პარტიის საარჩევნო ინტერესებს დაუქვემდებარა ხალხის ფული – ქვეყნის ბიუჯეტი და ამ დროს დანაშაულებრივ კონტროლს დაუქვემდებარა ოპონენტი პარტიების ფულადი შემოსავლები და ხარჯები.

ჩვენ სერიოზულად გვაშფოთებს არაერთი საერთაშორისო კვლევის ცენტრის გამოკითხვის შედეგები, რომლებიც აშკარად ტენდენციურია სახელისუფლებო პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ და აბსოლუტურად არ შეესაბამება იმ განწყობას, რომელიც ხალხშია.

ჩვენს შეშფოთებას იწვევს ხალხის ფულით დაფინანსებული საინფორმაციო საშუალებების მიერ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესის და ხალხის ყოფის გაშუქება, რომელიც აშკარად სახელისუფლებოა და არ შეესაბამება ქვეყანაში არსებულ რეალურ მდგომარეობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და უამრავი სხვა ნეგატიური ფაქტორის ფონზე ჩვენ გვაფიქრებს:

**1. რეალური ოპოზიციური ძალების დაქსაქსულობა და ერთმანეთთან დაპირისპირება.**

**2. აშკარად არასახელმწიფოებრივი 30%-ანი ბარიერის არსებობა მაჟორიტარი დეპუტატებისათვის.**

**3. ამომრჩეველთა დანაშაულებრივი ფორმით აღრიცხვა როგორც ქვეყანაში, ასევე ქვეყნის გარეთ, ამომრჩევლისთვის ხმის მიცემის უმთავრესი უფლების დარღვევა...**

ვაფრთხილებთ საზოგადოებას – მზადდება არჩევნების ტოტალური გაყალბება, არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ სადღაც, ქვეყნის გარეთ, უკვე დაწერილია არჩევნების შედეგები.

ჩვენ სოლიდარული ვართ იმ პოლიტიკურ ძალებთან და ვდგევართ იმ ხალხთან, რომლებიც თვლიან, რომ ქვეყნის გადარჩენა სამართლიან, კონკურენტულ და მშვიდობიან არჩევნებშია, რომ ამისთვის რეალურ ოპოზიციურ ძალთა ერთიანი დემოკრატიული ფრონტის შექმნა და მოქმედების კოორდინაციაა საჭირო... ვდგევართ იმ პოლიტიკურ ძალებთან და იმ ხალხთან, რომლებიც თვლიან, რომ ამ ხელისუფლებასთან გარიგება და არჩევნების გაყალბების პატიება არ შეიძლება.




**რეალურ ოპოზიციურ ძალებს პირველ ეტაპზე ვთავაზობთ:**

**1. დავიწყოთ რეალური კონსულტაციები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საქართველოს მეგობრებთან იმისთვის, რომ შეიცვალოს საარჩევნო კანონმდებლობის დრაკონული მუხლი მაჟორიტარი დეპუტატებისთვის 30%-იანი ბარიერის დაწესების თაობაზე და მივაღწიოთ 50%-იანი ბარიერის დაწესებას. თუ ამას ვერ შევძლებთ, მაშინ მოვიფიქროთ ერთიანი ოპოზიციური კანდიდატის გამოვლენის პრინციპები და მაჟორიტარულ დონეზე შევქმნათ სახელისუფლებო პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი დემოკრატიული ფრონტი.**

**2. საქართველოს მილიონ ნახევარზე მეტი მოქალაქე უცხოეთშია ანუ ქვეყნის გარეთ გაცილებით მეტი ამომრჩეველია, ვიდრე ქვეყნის შიგნით. საჭიროა, შეიქმნას ერთობლივი ჯგუფი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მიაღწევს საკანონმდებლო ცვლილებებს, და როგორც ეს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაშია, შესაძლებელს გახდის ან ქვეყნის გარეთ გასული საქართველოს მოქალაქეების მიერ დეპუტატის არჩევას, ან სრულად დაიცავს ყოველი მოქალაქის საარჩევნო უფლებას. თუ ეს საკანონმდებლო დონეზე შეუძლებელი გახდება, ერთობლივად ვიფიქროთ ამ ადამიანთა საარჩევნო უფლების დაცვაზე, ეს მით უფრო საშურია იმ აშკარა ანტისაარჩევნო გადაწყვეტილების გამო, რომელიც ამ დღეებში მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა.**

**3. ჩვენ გვჭირდება ერთიანი დემოკრატიული ფრონტი, რომ სახალხო კონტროლს დაექვემდებაროს როგორც ჩვენი, ისე მმართველი პარტიის ფულადი შემოსავლები და მისი ხარჯვა, განსაკუთრებით კი ხალხის ფულის – საქართველოს ბიუჯეტის ხარჯვა.**

ჩვენ მივმართავთ ხელისუფლებას - საჯარო გახდეს იმ მოქალაქეთა სია, რომლებიც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში გავიდნენ საქართველოდან და დღემდე არ დაბრუნებულან.

ჩვენ მივმართავთ ევროკავშირს, ევროგაერთიანებას, საერთაშორისო ორგანიზაციებს, დაგვეხმარონ საქართველოს იმ მოქალაქეთა სიების მოპოვებაში, რომლებმაც გადაკვეთეს თურქეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, იტალიის, ამერიკის, რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის, ევროკავშირის ქვეყნების საზღვრები და შემდგომ აღარ გასულან ამ ქვეყნებიდან.

ჩვენ მოვითხოვთ ერთობლივი ძალისხმევით არჩევნების მეორე დღესვე შესაძლებელი გახდეს იმ ამომრჩეველთა საჯაროობა, რომლებიც მივიდნენ არჩევნებზე.

ჩვენ დღეს სახალხოდ და საჯაროდ ვაკეთებთ საგანგებო განცხადებას საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით და როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ისე საზოგადოებას, საქართველოს მთელს მოსახლეობას, ჩვენს მეგობრებს ვთავაზობთ რეალურ მოქმედებას ქვეყანაში სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის. მდგომარეობა აშკარად საგანგაშოა იმ მოჩვენებითი სამართლიანობის ფონზე, რომელსაც ასე აგრესიულად აწარმოებს ხელისუფლება, სატელიტ პარტიებსა და მათ უცხოელ ლობისტებთან ერთად.

ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ: მოჩვენებითი სამართლიანობა ყველაზე დიდ უსამართლობას ნიშნავს და თუ იგი არ შეიცვლება, ჩვენ ვიქნებით იმ პოლიტიკურ ძალებთან და იმ ხალხთან ერთად, ვინც განწყობილია, რომ ამ ხელისუფლებას არ ეპატიოს მოჩვენებითი სამართლიანობით არჩევნების გაყალბება და მისი დაკანონება.

**აკაკი ასათიანი,**
**ტრადიციონალისტთა კავშირი;**

**კახა კუკავა,**
**თავისუფალი საქართველო;**

**თეიმურაზ შაშიაშვილი,**
**თეთრები.**

**24 ივლისი, 2012 წელი**

გლობუსი

# გამოიყენებს აშშ დიდი სიზუსტის სუპერბომბს ირანის წინააღმდეგ?

სულ ახლახან აშშ-ში გამოსცადეს დიდი სიზუსტის სუპერბომბი Massive Ordinance Penetrator, რომელიც გამიზნულია მიწის სიღრმეში განლაგებული სამხედრო ობიექტების განადგურებისთვის. ბომბში ორნახევარი ტონა ასაფეთქებელია, რაც აძლევს მას საშუალებას, გაანგრიოს 60 მეტრი სისქის არმირებული ბეტონი.

ბომბი 13.6 ტონაა. ვაშინგტონის გათვლით, ბომბი შეიძლება გამოყენებული იქნას ირანის ბირთვული ობიექტების გასანადგურებლად, რომლებიც მდებარეობენ ღრმად მიწის წიაღში. ასე რომ, ირანი ვერ შეძლებს ბირთვული ობიექტების საიმედო დაცვას. ყველაფერი დამოკიდებული იქნება გრუნტის სიმყარეზე.

ამ ბომბის დასამზადებლად პენტაგონმა 330 მილიონი დოლარი დახარჯა. ბომბის სერიოზული გამოცდა ირანის ბირთვულ ობიექტებზე მოხდება, ცხადია, თუ ვაშინგტონი გადაწყვეტს ირანის ბირთვული პროგრამის ძალისმიერი გზით მოგვარებას. არსებული მდგომარეობით, ირანის პოზიცია უცვლელია. ის აგრძელებს ურანის გამდიდრებაზე მუშაობას, მიუხედავად მძიმე ეკონომიკური სანქციებისა, რომელიც მას აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა დაუწესეს.

ეკონომიკურმა სანქციებმა სერიოზულად შეარყია ირანის ეკონომიკა, მაგრამ ვერ გატეხა ირანელთა სული – ბირთვული კვლევების წარმოებაში. ირანი მეტ-ნაკლებად იტანს ეკონომიკურ-საფინანსო ბლოკადას და როგორც ჩანს დასავლეთს არავითარ შესაძლებლობას არ აძლევს, იფიქროს არამილიტარისტულად.

მაგრამ როდის გადადგამს აშშ ირანის მიმართ სამხედრო ნაბიჯს? ზოგი დასავლელი ექსპერტის გათვლით, ა.წ. ოქტომბერ-ნოემბერში ან აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

წინ პოლიტიკური ვნებით აღსავსე პერიოდია, მაგრამ ვიდრე ირანის ამბავი დაიწყება, სირიის ვითარებაა გასარკვევი. დასავლური გეგმის მიხედვით, ლიბიის რეჟიმის დამხობის შემდეგ, სირიის რეჟიმია ამოღებული სამიზნეში, ხოლო ამ უკანასკნელის მოშთობით აშშ-ს და მის მოკავშირეებს გზა გაეხსნებათ ირანისკენ.

ასადის ხელისუფლების პოლიტიკური არენიდან გაქრობით, ახლო აღმოსავლეთში ერთობ დასუსტდება ირანული გავლენა. თვით ირანს დღევანდელთან შედარებით მეტი პრობლემები შეექმნება. ირანის ბირთვული ობიექტების დაბომბვა გარკვეულ უკმაყოფილობას შექმნის ამ ქვეყანაში საკუთარი ხელისუფლების მიმართ, გამოიწვევს ოპოზიციის გამოფხიზლებას და ის, რაც მიღწეულ ვერ იქნა მკაცრი ეკონომიკური სანქციებით, შეიძლება საჰაერო თავდასხმით იქნას მიღწეული, ასე ვარაუდობს აშშ, დასავლეთი.

მაგრამ ვიდრე ეს მოხდება – ჯერ სირიაა. მსოფლიო მედიის, განსაკუთრებით ამერიკულ-ბრიტანულის შემხედვარე, საზოგადოებას უკვე ნათლად ჩამოუყალიბდა აზრი ბარბაროსი ასადის რეჟიმის შესახებ, რომლის მთავარი მიზანი საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნებაა საკუთარი ხალხის განადგურების ხარჯზე. მთელი პასუხისმგებლობა სირიის ომისა მხოლოდ ასადის ხელისუფლებას ეკისრება და არა იმ ძალებს, რომლებიც „თავისუფალი სირიის არმიის" სახით ებრძვის ხელისუფლებას.

„სირია არის პროლოგი ირანთან ცხელი კონფლიქტისა. დასავლეთის ქვეყნები ყველაფერს ილონებენ, რათა სირიიდან ირანზე გავიდნენ", – აცხადებს ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის სტრატეგიული კვლევის თანამშრომელი, რომელიც გვარის დასახელებას ერიდება.

მაინც რას აძლევს დასავლეთს სირიის, შემდეგ ირანის დაჩოქება? უწინარესად პოლიტიკურ და სამხედრო თავისუფლებას ახლო აღმოსავლეთში. ირან-სირიის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი პალესტინის ორგანიზაცია „ჰამასი" და ლიბანის „ჰესბოლა" ერთობ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. დასავლეთი შეისრულებს სანუკვარ ოცნებას, რომელიც 30 წელზე მეტია აუსრულებლად ჩანს ირანის კლერიკალური ხელისუფლების გამო. ეს ოცნება ირანის ნავთობის, გაზის და სხვა სიმდიდრეების ხელში ჩაგდებაა.

ირანის ხელისუფლების გაქრობის შემდეგ აშშ-სა და ისრაელს მიეცემათ არა მარტო ირანში არამედ კავკასიაში, კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებში, ცენტრალურ აზიაში საკუთარი პოზიციების განმტკიცების შანსი. ირანის კლერიკალური ხელისუფლების დამხობით აშშ-ს გზა გაეხსნება სხვადასხვა სახის რევოლუციების ორგანიზებაში ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

დასავლეთი უმალ დაივიწყებს ცენტრალური აზიის ზოგიერთი ქვეყნის ლიდერთან დღეს არსებულ თანამშრომლობას, ეგვიპტე-ტუნის, ლიბიის მსგავსად და მათ წინააღმდეგ აზრძოლებს რეაქციულ ფუნდამენტალისტურ ისლამისტურ ძალებს. აშშ-მა კარგა ხანია, საერთო ენა გამოძებნა ამ ძალებთან მისთვის არასასურველი რეჟიმების დასამხობად. ამის ნათელი მაგალითი იყო ლიბია. ამის მაგალითია სირია, სადაც არა მარტო ტალიბანის (ავღანეთიძ წარმომადგენლები იბრძვიან, არამედ ალყაიდასიც.

ირან-ცენტრალურ აზიაზე გასვლა რუსეთ-ჩინეთის საწინააღმდეგო სერიოზული პლაცდარმის შექმნას ნიშნავს. ეს ორი ქვეყანა აშშ-ის ნომერ პირველ მტრად მოიაზრება, განსაკუთრებით ჩინეთი, რომლის მსოფლიო ეკონომიკური გავლენა თვალსა და ხელს შუა იზრდება, ისე, როგორც სამხედრო პოტენციალი. რაც შეეხება რუსეთს – ის დასავლეთის სამხედრო რკალში აღმოჩნდება. გარდა ამისა გაფართოვდება დასავლეთის მიერ წაქეზებული და დაფინანსებული რუსული ლიბერალური ძალების ანტისახელისუფლებო გამოსვლები, რაც სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის რუსეთის სახელმწიფოს არსებობას.

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის განცხადება, რომ რუსეთის სიმდიდრეები მარტო რუსეთისა არ უნდა იყოს, რეალურად იქცევა.

რომელი სუპერსახელმწიფო, თუნდაც, ისეთი, როგორიც რუსეთია, შეეგუება მეორე სუპერსახელმწიფოს შორსმიმავალ გეგმებს – სუვერენიტეტისა და თავისუფლების ხელყოფით? რუსეთი მზადაა, მიიღოს გამოწვევა და შემხვედრი გეგმა შეაგებოს დასავლეთს. რუსეთი იცავს სირიას ისე, როგორც დაიცავს ირანს, რამეთუ ამით საკუთარ თავს იცავს.

რუსეთმა დაიცვა 2008 წელს საკუთარი თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში სრული შესაძლებელი იქნებოდა ფართომასშტაბიანი ომი – უკრაინის და დასავლეთის ჩართვით.

სირიის მიმართ კი ძლიერდება დასავლეთის მილიტარისტული ყურადღება. დღის წესრიგშია სირიის ოპოზიციის მძლავრი, ეფექტიანი იარაღით მომარაგება. ლიბანის, ერაყის, იორდანიისა და თურქეთის საზღვრებიდან სირიაში მეამბოხეებისათვის შედის დიდძალი სამხედრო ტექნიკა და მატერიალური დახმარება.

გარდა ამისა, თურქეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ბოევიკების ნატოს სტანდარტების მიხედვით წვრთნა. თვით სირიაში 260 სამხედრო ფორმირება მოქმედებს. ოპოზიციური არმიის საერთო რაოდენობა 50 ათასს აჭარბებს. დასავლური მედიის მიხედვით, სირიაში ინგლისის სპეცდანიშნულების სამხედროთა ჯგუფებია. მათი ამოცანა ისეთივეა, როგორც ლიბიაში – ოპოზიციის კონსოლიდაცია და ერთ მუშტად შეკვრა.

ამას წინათ დიდი ბრიტანეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ ოუენმა განაცხადა, რომ „საჭიროა ფრენის აკრძალული ზონების შექმნა, ისეთის, როგორიც ლიბიაში იყო. ამისათვის ნატომ უნდა დააფიქსიროს სირიის შვეულმფრენების მოსახლეობაზე თავდასხმის ფაქტები. ამ შემთხვევაში რუსეთ-ჩინეთს გაუჭირდებათ გაეროს უშიშროების საბჭოში აკრძალული საჰაერო ზონების რეზოლუციის მიღებასთან შეწინააღმდეგება", – განაცხადა მინისტრმა.

ივნისის ბოლოს საუდის არაბეთის ელიტარულმა და კარგად გაწვრთნილმა არმიამ დაიკავა პოზიციები იორდანიის და ერაყის საზღვრებთან. ცნობის მიხედვით, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას სირიაში ვითარების გამწვავების შემთხვევაში.

თვით აშშ და მისი მოკავშირეები ზრდიან თავიანთ სამხედრო ძალებს სპარსეთის ყურეში. სრულიად მოულოდნელად ბირთვული ავიამზიდი „ჯონ სტენისი" გადაისროლეს ახლო აღმოსავლეთში. ამჯერად სპარსეთის ყურეში არიან ატომური ავიამზიდები „ენტერპრაიზი", „ეიზენჰაუერი", მათ მალე შეუერთდება ფრანგული ატომური ავიამზიდი „შარლ დე გოლი". სპარსეთის ყურეში იმყოფება დიდი სადესანტო გემი „პონსე". საერთო ჯამში ირანის საზღვრებთან თავმოყრილია 40 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

სამხედრო ზეწოლასთან ერთად ირანის წინააღმდეგ ამოქმედებულია მკაცრი ეკონომიკურ-საფინანსო სანქციები, რაც აუარესებს ირანის მდგომარეობას. მიმდინარე წელს ინფლაციამ 22.2% შეადგინა. აღინიშნება ფასების მკვეთრი ზრდა კვების პროდუქტებზე. ნახევარი წლის განმავლობაში ფასებმა ხორბალზე 56%-ით მოიმატეს, ხილზე – 67%-ით, ბოსტნეულზე – 100%, ქათმის ხორცზე –– 30%-ით. მიმდინარე წელს ირანის ნავთობის ექსპორტი 40%-ით შემცირდა. ექსპერტთა აზრით, ბიუჯეტი დაგეგმილზე 32 მილიარდი დოლარით ნაკლებ შემოსავალს მიიღებს. მიუხედავად ამისა, დასავლეთი აგრძელებს მსოფლიო ბაზრიდან ირანის განდევნის პროცედურას. მაგრამ სპეციალისტების აზრით, ეკონომიკური სანქციები ვერ შეაფერხებს ირანის ბირთვულ პროგრამას. 2015 წლისათვის ირანს ექნება კონტინენტშორისი ბალისტიკური რაკეტა. ინგლისური გაზეთის „სანდი ტაიმსის" მიხედვით, „ირანს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, შექმნას თუ არა ბირთვული ბომბი, მაგრამ თუ გადაწყვეტს – მას 12-18 თვე დასჭირდება ამისათვის".

სირიაში მიმდინარე მოვლენები ჯერჯერობით სრულად ვერ ეწერება დასავლურ გეგმებში. ალეპოს წარმატებული ოპერაციის შემდეგ სირიის სამთავრობო ძალებმა განიმტკიცეს პოზიციები და იმედი შემატეს ხელისუფლებას, იბრძოლოს ბოლომდე. დღევანდელი მდგომარეობით ანტისახელისუფლებო ძალები ვერაფერს აკეთებენ ბაშარ ასადის რეჟიმის დასამხობად, ისე, როგორც სირიის არმია ვერ ახერხებს ოპოზიციური ძალებისა და მომხდურების საბოლოო დამარცხებას. დასავლეთი ძალას არ იშურებს ვითარების თავის სასარგებლოდ შებრუნებისათვის და სირიაში ახალი სამხედრო ფორმირებების გადასროლისათვის. თუ სამთავრობო ძალები უახლოეს პერიოდში ვერ შეძლებენ მთავარი ქალაქების განთავისუფლებას და კონტროლის დამყარებას, ომი კარგა ხანს გაგრძელდება.

ბაშარ ასადის ხელისუფლების პოზიციების განმტკიცება ხელს შეუშლის ზემოთ მოყვანილი დასავლური გეგმის განხორციელებას, რაც შედის არა მარტო სირიის, არამედ ირანის, რუსეთის, ჩინეთის ინტერესებში.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



ინფორმაცია

## ლელა რაზიკაშვილის სამსახურიდან გათავისუფლებას აპროტესტებენ

**ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის დირექტორობიდან ლელა რაზიკაშვილის გათავისუფლებას თანამშრომლები აპროტესტებენ. როგორც მუზეუმის ფონდის მცველმა მანანა გოდერძაულმა განაცხადა, ამ ფაქტის გამო აპირებს, სამსახური თავადაც დატოვოს. იგი მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე თამარ რაზიკაშვილის დანიშვნას აპროტესტებს და აცხადებს, რომ ეს პიროვნება თანამდებობისთვის შეუფერებელია და თამარ რაზიკაშვილს საკმარისი განათლებაც არ გააჩნია, მხოლოდ დაწყებითი კლასების მასწავლებლის კურსები აქვს გავლილი.**

**გოდერძაულის თქმით, თამარ რაზიკაშვილი სახლ-მუზეუმის ექსკურსიამძღოლი იყო. მუზეუმს სულ 7 თანამშრომელი ყავს. გოდერძაულისთვის უცნობია, მუზეუმის რამდენი თანამშრომელი აპირებს კიდევ პროტესტის ნიშნად სამსახურის დატოვებას.**

ინტერპრესი



სიახლე

# „მაგთისატი“ და „სეტანტა“ საფეხბურთო სეზონზე გიწვევთ



**„მაგთიკომი“ საერთაშორისო სპორტულ მაუწყებელ „სეტანტასთან“ ერთად საფეხბურთო სეზონს ხსნის. „სეტანტა სპორტ ევრაზიამ“ 2012 წლის იანვარში დაიწყო მაუწყებლობა და რეგიონში რამდენიმე საუკეთესო სპორტული პირველობების მაუწყებლის უფლება მოიპოვა.**

ამ თემაზე „მაგთიკომის“ ოფისში გუშინ პრესკონფერენცია გამართეს გენერალური დირექტორის მოადგილემ მარკეტინგის დარგში ირაკლი ლობჟანიძემ, „მაგთისატის“ პროექტის მენეჯერმა გიორგი წიქარიშვილმა, „სატანტა სპორტ ევრაზიის“ მთავარმა აღმასრულებელმა ოფიცერმა დვაიერ მაქქოულიმ.

**ირაკლი ლობჟანიძე, „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილე:** „სეტანტასა“ და „მაგთიკომის“ სტრატეგიული პარტნიორობის საფუძველი გახდა, ის, რომ „მაგთიკომს“ „სეტანტას“ გასაშვებად მაღალი ხარისხის ტექნიკური ბაზა გააჩნია.

**დვაიერ მაქქოული:** „სეტანტას“ დიდი ისტორია აქვს, 5 კონტინენტზე გადასცემს პროგრამებს და საქართველოში მაუწყებლობის დაწყება ძალიან სასიამოვნოა. დვაიერ მაქქოულიმ ჟურნალისტებს გააცნო, თუ რა გეგმებს და მიზნებს ისახავს „სატანტა სპორტი“ საქართველოში და რომელი პირველობების მაუწყებლობას განახორციელებს.

1 სექტემბრიდან „მაგთიკომის“ მაყურებელს შესაძლებლობა ექნება, ფეხბურთის პირველობებს (მაღალი გარჩევადობისძ ხარისხით ადევნოს თვალი.

**„გვახარებს ახალი სეზონის დაწყება, რომლის განმავლობაში დავგეგმეთ, გიჩვენოთ 800 მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი, მათ შორის: ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთის ეროვნული ჩემპიონატები, ფეხბურთის მსოფლიო ასოციაციის თასის შეხვედრები და ჩრდილოამერიკული ლიგის (MLS) თამაშები.**

**საქართველო ჩვენთვის მნიშვნელოვანი ბაზარია, ამიტომ მოხარული ვართ, რომ ამ რეგიონში გვყავს ისეთი საიმედო პარტნიორი, როგორიც „მაგთიკომია“,** — განაცხადა მაქქოულიმ.

**„სიამოვნებით ვითანამშრომლებდი „მაგთიკომთან“ და საქართველოში მოქმედ სხვა პროვაიდერებთან, რათა ჩვენს არხს რაც შეიძლება მეტი მაყურებელი შეემატოს“.**

სტუმარმა მხიარულად აღნიშნა, რომ სეზონის განმავლობაში „სეტანტა სპორტის“ მეშვეობით, ქართველი მაყურებელი იხილავს დაახლოებით 1500 გოლს, 1100-მდე ყვითელ ბარათს, 200-მდე წითელ ბარათსა და სავარაუდოდ 60-მდე ჩხუბს ჰოკეიში...

სამომავლოდ „მაგთიკომი“ და „სეტანტა“ კიდევ გეგმავენ ერთობლივ პროექტებს, რაც საქართველოში სპორტის გულშემატკივრებს მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას მისცემს.

ასე რომ, თანამგზავრული ტელემაუწყებლობის პირველი ოპერატორი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში „მაგთისატი“ მსოფლიოს ფეხბურთის საუკეთესო პირველობებს გთავაზობთ. „სეტანტას“ მესვეურნი ამბობენ, რომ მომავალში ტრანსლირება ქართულ ენაზე მოხდება. ისინი შეეცდებიან, სულ მალე მეორე არხიც არსებობდეს, რათა მატჩების ტრანსლირებამ ერთმანეთს ხელი არ შეუშალოს.





შეგახსენებთ, რომ მაგთისატი 2012 წლის 23 იანვრიდან ამოქმედდა. მაშინვე აღინიშნა, რომ DTH პლატფორმის დანერგვა უნიკალური შესაძლებლობაა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე მაღალხარისხიანი ციფრული მაუწყებლობის მიღებისთვის და მას მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია:

**ა) სატელიტური სიგნალის მიღება გეოგრაფიულად სრულიად განსხვავებულ არეალებში მყოფ მიმღებებს ერთდროულად შეუძლიათ.**

**ბ) თანამგზავრი მიწისზედა ინფრასტრუქტურისგან სრულიად დამოუკიდებელია — იმ ტერიტორიებზე, სადაც მიწისზედა ქსელი არ არსებობს, ან სუსტადაა განვითარებული, სატელიტი სხვადასხვა სახის კომუნიკაციის ერთადერთი ალტერნატივაა.**

**გ) სატელიტის ქსელი გეოგრაფიულად რთული რელიეფის, ან მეჩხერად დასახლებულ რეგიონებში განვითარებისთვის არ მოითხოვს დამატებით ინვესტირებას.**

**დ) სრულფასოვანი სერვისი იწყება სატელიტის საბოლოო მდებარეობის მიღწევიდან და მას ყველა მიმღები ერთდროულად იღებს.**

**ე) საკომუნიკაციო სატელიტი „ეკოლოგიურად მეგობრულია“ — მისი გადამცემი სადგურები და ელექტრომოწყობილობები მზის ენერგიაზე მუშაობს.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

ოპოზიცია

## ჯონდი ბაღათურია:
# ასე ადვილი ჩასაყლაპი არ ვარ

(მეოთხე გვერდიდან)

ჯერ ერთი ასე ადვილი ჩასაყლაპი არ ვარ და მეორე, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ ორი ერთანეთთან დაპირისპირებული ოპოზიური კანდიდატი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ერთად ჩაყლაპოს. ეს ეხება არა მარტო საბურთალოს, არამედ ყველა ოლქს და ამას არ დავუშვებ. ვხედავ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის რესურსი არსებობს. არა მარტო საბურთალოზე, ყველგან უნდა გამოირიცხოს ოპოზიციურ კანდიდატებს შორის კონკურენცია. ორი მხარე ამაზე ვმუშაობთ და ვფიქრობ შედეგები გვექნება.

**— იყო საუბარი თქვენსა და ნინო ბურჯანაძეს შორის კოალიციის შექმნაზე, მაგრამ ბურჯანაძემ უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. როგორ აფასებთ მის გადაწყვეტილებას?**

— პატივს ვცემ ნინო ბურჯანაძის ამ გადაწყვეტილებას, თუმცა, მიმაჩნია, რომ ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსები გამოაკლდნენ ისეთ მნიშვნელოვან ბრძოლას, როგორც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებია. ვისურვებდი, ისინი ყოფილიყვნენ ამ ბრძოლაში. საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, რომ ყოფილიყო ერთიანი ოპოზიციური ფრონტი, მაგრამ ასე გადაწყვიტეს და მათ ნაბიჯს კრიტიკულად ვერ შევაფასებ. „ქართული დასი“ ყველა ძირითად ოპოზიციურ ძალასთან ლაპარაკობს ბევრ საკითხზე. ახლა ერთმანეთთან შეჯიბრის დრო არ არის, რადგან ერთიანი ფრონტი და ერთიანი პროპორციული სია ვერ გაკეთდა, ახლა კონკურენცია მაჟორიტარულ ოლქებში მაინც უნდა გამოვრიცხოთ. დაუშვებელია, რომ ოპოზიციურ ძალებს შორის შეთანხმება არ მოხდეს.

**— ხელისუფლება ოპოზიციის არც თუ კოორდინირებული საქმიანობით ძლიერდება. პრეზიდენტი კი ახალ-ახალ ობიექტებს ხსნის, ახალ მშენებლობებს უყრის საფუძველს.**

— სააკაშვილმა კი არ ააშენა, დაანგრია ეს სახელმწიფო. უპასუხისმგებლობის გამო დაკარგა ტერიტორიები და დაშალა ქვეყნის ეკონომიკა. 2 მლნ-ზე მეტი ადამიანი სიღატაკის ზღვარს მიღმაა. სააკაშვილმა შექმნა ძალიან მძიმე სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობა. საგარეო ასპარეზზე ქვეყანა მარგინალიზებულია. ძალიან ვწუხვარ, რომ საქართველოს იმიჯი შეირყა იმის გამო, რომ ჰყავს ასეთი პრეზიდენტი. ლაზიკის აშენება სააკაშვილის ფანტაზიაა. ეს კაცი რატომღაც მიიჩნევს, რომ მისი ღამის სიზმარი, დღისით საქართველოს ბიუჯეტმა უნდა დააფინანსოს. არ შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტი გადაიქცეს სააკაშვილის სიზმრების და პოხონდრიების დაფინანსების საშუალებად, მაშინ როდესაც ხალხი მშიერი კვდება. რა დროს ლაზიკაა, როდესაც 900 ათასი ბენეფიციარია დარეგისტრირებული სოციალურ სააგენტოში, როგორც სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი. კიდევ 600 ათასი ადამიანი ითხოვს ამ სტატუსს და არ აძლევენ იმის გამო, რომ სახელმწიფოს ფული არ აქვს. თუ იმის ფული არ გაქვს, რომ შენს 600 ათას მოქალაქეს 30 ლარი მისცე, შე დალოცვილო, რა იუსტიციის სახლის, რესტორნების და კაზინოების აშენება მოგინდა ჭაობში, როდესაც აშენებულია ამდენი ქალაქი, ისინი განავითარე, იქ ააშენე ფაბრიკა ან ქარხანა, რომ ხალხს სამუშაო ჰქონდეს.



**— რამდენადაც ვიცი, „განახლებული საქართველოსთვის“ ლიდერს მინდია გულუას შეხვდით და რა იყო ამ შეხვედრის მიზანი?**

— როდესაც გამოიკვეთება კონკრეტული სურათი, თუ როგორ თანამშრომლობენ კონკრეტული პოლიტიკური ძალები ამის მერე გავაკეთებ შეფასებებს. დაგიდასტურებთ, რომ მინდია გულუასთან და მის პარტიასთან საუბარი მქონდა. მეტს ვერაფერს ვიტყვი. ისეთი მდგომარეობაა, შეიძლება ერთმა არასწორად დაწერილმა ან გაგებულმა ინფორმაციამ ვითარება გაართულოს. ძალიან ძლიერად მუშაობს ხელისუფლება და მისი სპეცსამსახურები იმისთვის, რომ როგორმე არ შედგეს ოპოზიციური ერთობა და მოახდინონ ოპოზიციის შიგნით კონკურენციის პროვოცირება. ამაზე ძალიან დიდი მონდომებით მუშაობენ, რადგან იციან მათი გადარჩენა მხოლოდ ამაშია. თუ ოპოზიციის ერთობა შედგა, არჩევნებამდეც აღარც მივა საქმე. როგორც კი გამოცხადდება, რომ ჩვენ ერთად ვართ, რომ დავასრულოთ ეს ძალადობა და უსამართლობა, ხელისუფლებაში ყველაფერი დამთავრდება. ამიტომაც მუშაობენ ოპოზიციის გახლეჩაზე. წინასწარ გაკეთებულ კომენტარებს იყენებს ხელისუფლება ჩვენს შორის ურთიერთობის დაძაბვისთვის, ლიდერებს შორის დაპირისპირებისა და ეჭვიანობისთვის, რადგან ხელისუფლებას შეგზავნილი ხალხი ჩვენთანაც ჰყავს და „ოცნებაშიც“. როდესაც იქნება კონკრეტული შედეგები და გამოკვეთილი სურათი როგორი სახით ითანამშრომლებს „ქართული დასი“ ოპოზიციურ პარტიებთან, უკვე შემეძლება ამის თაობაზე ვაუწყო საზოგადოებას.

სჯობს ოპოზიციური ძალები ყველა ერთი მხარე ვიყოთ, რადგან ჩვენ ვართ საქართველო, ეს ხელისუფლება კი საქართველოს ოპოზიციაშია. ერთად უნდა ვებრძოლოთ იმას, ვინც ქართული სახელმწიფოს ოპოზიციაშია. ეს არიან „ნაცმოძრაობის“ კრიმინალური ბანდა და მისი სატელიტი პარტიები, რომლებიც ეხმარებიან ამ კრიმინალურ ხელისუფლებას ძალაუფლების შენარჩუნებაში.

...ღმერთთან ერთად ყველაფერს გავუძლებთ. ერთად ყოფნა არის ჩვენი ძალა, რადგან ღმერთი აერთიანებს და ბოროტი ჰყოფს. ვინც ერთნი ვართ, ერთნაირები ვართ და სამშობლო გვიყვარს, ღირსების განცდა გვაქვს და სამშობლოს სიყვარული, ერთად უნდა დავდგეთ. არ შეიძლება ჩვენს შორის კონკურენცია, რამაც შეიძლება მერე გამოიწვიოს ხელისუფლების გამარჯვება.

**— თუ ოპოზიცია ვერ გაიმარჯვებს?**

— უნდა გავიმარჯვოთ, სხვა გზა აღარ არის, რადგან მერე შეიძლება სახელმწიფო აღარ გვქონდეს. ჩემი გუნდი მუშაობს ეკონომიკის საკითხებზე და ვიცი, რომ ჩვენი ეკონომიკა მხოლოდ ქაღალდზეა. ხელისუფლებას არჩევნებამდე კბილებით უჭირავს სული. არჩევნების მერე მედიკამენტებზე, ბენზინსა და კვების პროდუქტებზე 2-3-ჯერ მოხდება ფასების გაზრდა. ესენი თუ დარჩნენ, ქვეყანაში შეიძლება კოლაფსი დაიწყოს...

**იზო რიკაძე**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# როგორ ჩააბარებს ტესტს სახელმწიფო აუდიტის სამსახური?

## „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული მიმართვა ევროსაბჭოდან



**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლები საქართველოს საკითხებზე მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს თანაბარი პირობები 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისთვის. მათ მიერ 21 აგვისტოს გამოქვეყნებული განცხადების შინაარსი ცხადყოფს, რომ შეშფოთების საფუძველი ძირითადად კოალიცია „ქართული ოცნების“ შევიწროებასა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უსამართლო ქმედებებთან დაკავშირებულ ინფორმაციებს უკავშირდება. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლები შეცდომაში არიან შეყვანილი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „შერჩევით მიდგომებზე“ არასამთავრობო სექტორიც ლაპარაკობს.**

ვიდრე 11-12 სექტემბერს საქართველოს წინასაარჩევნო მისიის ფარგლებში ეწვევიან, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლები — დანიელი დეპუტატი მიკაელ იენსენი და ლატვიელი დეპუტატი ბორის ცილევიჩი — შეშფოთებით ეხმაურებიან გავრცელებულ ცნობებს კოალიცია „ქართული ოცნების“ საბანკო ანგარიშების დაბლოკვასთან დაკავშირებით, „რითაც ხელი ეშლება“ კოალიციის მონაწილეობას წინასაარჩევნო კამპანიაში. **„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გადაჭარბებული და არაპროპორციული ჯარიმების დაკისრება ფაქტობრივად ძირს უთხრის ოპოზიციური პარტიის ნორმალურ პოლიტიკურ აქტივობას“,** — ვკითხულობთ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვებსაიტზე 21 აგვისტოს გამოქვეყნებულ განცხადებაში და იქვეა გამოკვეთილი ხელისუფლების სამომავლო პასუხისმგებლობაც:

**„საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის არსი ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის თანაბარი პირობების შექმნაა და არა საარჩევნო რბოლიდან რომელიმე პარტიის განდევნა. მომავალ არჩევნებსა და მის დემოკრატიულად ჩატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას გამოიჩინოს მაქსიმალური თავშეკავება და უზრუნველყოს ყველა პარტიის — მათ შორის, კოალიცია „ქართული ოცნების“ — სრულფასოვანი მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში“.**

განცხადების თანახმად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლების შეშფოთებას იწვევს არაერთგზის გავრცელებული ბრალდებები **„აუდიტის სამსახურის მიკერძოებულობის შესახებ“** და „სანდო ორგანიზაციების“ მიერ გავრცელებული ინფორმაციები. ერთ-ერთ ასეთ სანდო ორგანიზაციად განცხადებაში სახელდება „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, რომელიც, ტექსტის მიხედვით, **„ეჭვქვეშ აყენებს აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილებების სამართლიანობას“.**

საიას თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა იცის, თუ კონკრეტულად რომელ განცხადებას ანუ ანგარიშს ეყრდნობიან ამ შემთხვევაში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლები, მაგრამ ის სრულად იზიარებს 21 აგვისტოს განცხადებაში ასახულ მოსაზრებებს. ჩუგოშვილი თანამომხსენებლების მიმართვას ჯერჯერობით კვლავაც დროულად მიიჩნევს:

**„მართალია, უკვე ბევრი დარღვევა აღინუსხა და საკმაოდ მძიმედ წარიმართა ეს საარჩევნო პროცესები, მაგრამ ოფიციალური კამპანია ჯერ კიდევ მიმდინარეობს, არის ჯერ კიდევ დრო და მნიშვნელოვანია, თუ ამ მიმართვას პოზიტიური გავლენა ექნება პროცესებზე. მგონი, ეს ძალიან წაადგებოდა წინასაარჩევნო კამპანიას“.**

ჩუგოშვილის ამგვარი ოპტიმიზმის მიუხედავად, ხელისუფლება რეაგირებას სულ სხვა მიმართულებით გეგმავს. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის წევრმა გიორგი კანდელაკმა უთხრა რადიო „თავისუფლებას“, თანამომხსენებლები, სხვა არაერთ ადამიანთან ერთად, შეცდომაში არიან შეყვანილი:

**„ყველა ადამიანი, ვისაც საქართველოსთან და ჩვენს არჩევნებთან შეხება აქვს (სხვათა შორის, დღეს რამდენიმე საინტერესო შეხვედრა გვქონდა), ფაქტობრივად, იბომბება უზარმაზარი რაოდენობის ინფორმაციით — და ხშირად დღეში რამდენჯერმე — ივანიშვილის მიერ დაქირავებული ლობისტების მიერ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვცდილობთ, რომ სხვადასხვა ინსტიტუტებსა და სხვადასხვა ადამიანებს (ვისაც შეხება აქვს საქართველოს არჩევნებთან), რომლებსაც ეს ლობისტები ტყუილებსა და არასწორ ინფორმაციას აწვდიან, მივაწოდოთ სიმართლე“.**

ფინანსური მონიტორინგის სამსახური, პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, პოლიტიკური გაერთიანებებისთვის 32 პირის მიერ შეწირული თანხების წარმომავლობის კანონიერებას შეისწავლის. მათ შორის 21-მა პირმა შემოწირულება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ განახორციელა ...

თუმცა, მესამე სექტორის არაერთი ორგანიზაცია საქართველოში ხშირად გამოხატავს წუხილს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის **„შერჩევით მიდგომებთან“** დაკავშირებით. საიას მსგავსად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოც“ თვლის, რომ ყოფილი კონტროლის პალატა — აწ უკვე სახელმწიფო აუდიტის სამსახური — განსაკუთრებულ ძალისხმევას იჩენს ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან (და განსაკუთრებით კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ძ დაკავშირებული დარღვევების აღმოსაჩენად თუ შესასწავლად, **მაშინ როცა იგივე არ კეთდება მმართველი პარტიის — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ — შემთხვევაში.**

ასეთი ეჭვები „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ 21 აგვისტოს გამოქვეყნებულ განცხადებაში „ბი-ტი-ვი სტუდიოს“ მიერ მომზადებული ჟურნალისტური გამოძიების საფუძველზეც გამოხატა. ორგანიზაცია კანონდარღვევის მანიშნებლად მიიჩნევს ფილმში ასახულ მონაცემებს იმის შესახებ, რომ, მაგალითად, „ნაციონალურ მოძრაობას“ შემოწირულობის სახით დაახლოებით 650 ათასი ლარი გადაურიცხა 27-მა ფიზიკურმა პირმა, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში არიან დარეგისტრირებული; ხოლო დაახლოებით 280 ათასი ლარის შემოწირულობა ამავე პარტიის სასარგებლოდ განახორციელა 7-მა ფიზიკურმა პირმა, რომელთა ქონებაც დაყადაღებული იყო. **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ მიმართავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, დაიწყოს მოკვლევა ფილმში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით.**

თავის მხრივ, ასევე 21 აგვისტოს გამოაქვეყნა განცხადება სახელმწიფო აუდიტის სამსახურმაც, რომელშიც აღნიშნავს, რომ **„ფინანსური მონიტორინგის სამსახური, პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, პოლიტიკური გაერთიანებებისათვის 32 პირის მიერ შემოწირული თანხების წარმომავლობის კანონიერების შესწავლას ახორციელებს. მათ შორის 21-მა პირმა შემოწირულობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ განახორციელა, 6-მა პირმა თანხები „ქართული ოცნება — დემოკრატიულ საქართველოს“ შესწირა, 2-მა პირმა — „თავისუფალ საქართველოს“, 3 პირმა კი — „რესპუბლიკურ პარტიას“.**

ამ მოკვლევის შედეგებს მოუთმენლად დაელოდება არასამთავრობო სექტორი. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა უთხრა რადიო თავისუფლებას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ეს ერთგვარი ტესტი იქნება.

**ლელა კუნჭულია**

## დედამიწის ზურგზე

### ბრიტანეთის პრინცი გამხიარულდა ლას-ვეგასში: ის ფოტოზე შიშველი გადაიღეს

**მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაქვეყნეს სკანდალური ფოტოგრაფიები, რომლებიც უჩვენებენ, თუ როგორ ატარებს ზაფხულს სამეფო პიროვნება. მათზე ქერათმიანი ახალგაზრდა კაცი აღბეჭდილია მთლიანად შიშველი: ერთ სურათზე ის დგას სავარძელთან, მის უკან კი ქალიშვილი იმალება, ასევე შიშველი. მეორე სურათზე პრინცი გადაღებულია ბილიარდის მაგიდასთან, ის ხელს უსვამს უკან შიშველ ქალიშვილს.**

* * *

### რუსეთმა ევაკუაციისთვის მოამზადა უცხოეთში თავისი უკანასკნელი შორეული სამხედრო ბაზა

**რუსეთის სამხერდო-საზღვაო ბაზის პირადი შემადგენლობა სირიის ნავსადგურ ტარტუსში გადაიყვანეს ტექნიკური მომსახურების გემის ბორტზე და იგი მზად არის ნებისმიერ მომენტში გავიდეს ზღვაში, — ამტკიცებს გაზეთი იზვესტია“.**

**ბრძანება ზღვაში გასვლის შესახებ უნდა გასცეს გენერალურმა შტაბმა. რომ გავიდეს უსაფრთხო სიშორეზე, სანაოსნო ბაზას დაახლოებით საათი დასჭირდება, ნაპირიდან დარტყმის შემთხვევაში ის განადგურდება რამდენიმე წუთში.**

* * *

### რომნი დაზარალდა გაუპატიურებისგან: აშშ პრეზიდენტობის კანდიდატმა ოპოზიციონერ კონგრესმენს ურჩია არ იყაროს კენჭი

**ამ დროს დემოკრატებმა სიხარულით აიტაცეს ტოდ ეიკინის არაკორექტული განცხადება „ნამდვილი გაუპატიურების შესახებ“, აღნიშნეს, რომ „გაუპატიურება გაუპატიურებაა“. სხვათა შორის, თავად კონგრესმენს არ მიაჩნია, რომ თქვა რაღაც საშინელება — უბრალოდ „არასწორად გამოიყენა არასწორი სიტყვები“, და თავისი კანდიდატურის მოხსნას არჩევნებიდან არ აპირებს.**

* * *

### სარდინიის მახლობლად რეგატის დროს დაიწვა და ჩაიძირა იახტა, რომელზეც 6 რუსი იმყოფებოდა

**ხანძარი ღამით დაიწყო. ცეცხლი მალე გავრცელდა გემზე და მეზღვაურებს ძლივს ეყოთ დრო, რომ მიეცათ უბედურების სიგნალი და დაეტოვებინათ იახტა. ოცმეტრიანი ხომალდი უმალვე ჩაიძირა. შემთხვევის ადგილზე მოვიდა საპატრულო კატარღა სანაპირო დაცვის ცენტრიდან და გადაარჩინა ეკიპაჟი.**

* * *

### მიშელ ობამა დილის 5 საათზე დგება, რათა ივარჯიშოს

**მისი მეუღლეც ასევე ყოველ დილით მიდის სატრენაჟორო დარბაზში, თუმცა, ამას ის რამდენადმე გვიან აკეთებს. ბარაკ ობამა გამოჩნდება ხოლმე მიშელის ვარჯიშების შუა პერიოდი ანდა დასასრულს. მგზავრობაში ამერიკის შეერთებული შტატების პირველ ლედის ჩვეულებრივად თან მიაქვს სახტუნაო.**

* * *

### კიმ ჩენ ინი პირველ საზღვარგარეთულ ვიზიტად ირანს გაემგზავრა

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდა ლიდერი იქ მონაწილეობას მიიღებს მიუერთებლობის მოძრაობის სამიტში. ასეთია, ყოველ შემთხვევაში, სამხრეთი კორეის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობები. ირანი და ჩრდილოეთი კორეა ავითარებენ თავიანთ ბირთვულ პროგრამებს, რომლებსაც საერთაშორისო გაერთიანება განიხილავს, როგორც საფრთხეს საყოველთაო უშიშროებისთვის.**

# ამერიკელი გენერალი კავკასიის კონფლიქტებზე FOREIGN POLICY-ში სტატიას აქვეყნებს

კავკასიის რეგიონში არსებულ კონფლიქტებზე **Foreign policy** ვრცელ სტატიას აქვეყნებს. სტატიის ავტორი, ამერიკელი გენერალი მარკ ჰერტლინგი წერს, რომ კავკასია როგორც ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ისტორიული გზა, უსაფრთხოების კუთხით ისევ რთულ და ჩახლართულ პრობლემას წარმოადგენს.

სტატიის თანახმად, ეთნიკურ ნიადაგზე დაძაბული ურთიერთობები კიდევ უფრო აჭიანურებს ისედაც ხანგრძლივ ტერიტორიულ დავებს.

**„მიუხედავად იმისა, რომ მინსკის ჯგუფი აძლიერებს ეუთოს ძალისხმევას, რათა მთიანი ყარაბაღის ირგვლივ არსებული კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მოგვარდეს, არც ერთ მათგანს არ ყოფნის პოლიტიკური ნება. მხარეების სამხედრო მეთაურები ამაყად და უკანონოდ აცხადებენ, რომ მათ ამის სწრაფად მოგვარება შეუძლიათ. საქართველოს არც თუ შორეულმა გამოცდილებამ რუსეთთან არსებითი საერთაშორისო იარები დატოვა, რომლებიც, სავარაუდოდ, უახლოესი პერიოდის განმავლობაში ისევ დარჩება, მით უმეტეს, რომ საქართველო ნატოსა და ევროპული ოჯახის წევრობისკენ ისწრაფვის. ისრაელ-ირანის ურთიერთობები ექსპერტებსაც კი აშფოთებთ. თურქეთის საზღვარი კი, განსაკუთრებით სომხეთთან, კონფლიქტის პოლიტიკურ დონეზე გადაწყვეტას საჭიროებს“,** — წერს ავტორი.

ავტორის შეფასებით, კონფლიქტის პოტენციალი იმდენად დიდია, რომ რამდენიმე წლის წინათ, აშშ-ის არმიის წვრთნისა და დოქტრინის ჯგუფი ამუშავებდა კავკასიასთან დაკავშირებულ სცენარებს (**GAAT**ძ, რათა მოემზადებინა სამხედროები დაუძლეველ გარემოებებთან გამკლავებისთვის.

**„საქართველოში სომხეთსა და აზერბაიჯანში სტუმრობისას ჩემმა ახალგაზრდა ადიუტანტმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ არ იყო ნამყოფი ამ ქვეყნებში იქამდე, ვიდრე GAAT-ის სავარჯიშოებს გაივლიდა. მას შემდეგ, რაც შეხვდა რეგიონების პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და ნახა განსხვავებები შეიარაღებული ძალების ახალგაზრდა სამხედროებსა და არაღიარებული ტერიტორიების ძველი თაობის საბჭოთა გენერლებს შორის, თქვა — ეს ძალიან განსხვავდება იმ ყველაფრისგან, რაც მე კოლეჯის საკლასო ოთახებში ვისწავლე“,** — წერს ავტორი.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ოთხი ქვეყანა, რომლებსაც GAAT-ი აერთიანებს, (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთიძ, ნატოს ეგიდით ავღანეთსა და კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობენ და შესაბამისად, უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობა უმჯობესდება. ავტორი წერს, რომ საქართველო GAAT-ის მისიაში 2005 წლიდან მონაწილეობს, ხოლო 2010 წლიდან ბატალიონით არის წარმოდგენილი.

**„ოქტომბრიდან კი საქართველო ჯარისკაცთა რაოდენობას აორმაგებს. ქართული სამხედრო ლიდერობა მოწადინებულია, რომ მისი ბრიგადები გახდნენ მეტად ბრძოლისუნარიანები და მაღალპროფესიულები. სომხეთმა ცოტა ხნის წინ კოსოვოს ოპერაციაში მონაწილეობისთვის ჯარის გაგზავნის და საერთაშორისო მშვიდობის მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა. იმის მიუხედავად, რომ მთიანი ყარაბაღის გაყინული კონფლიქტით არიან დაკავებული, სომეხი და აზერბაიჯანელი ჯარისკაცებიც ავღანეთის მისიაში გერმანელ და თურქ სამხედროებთან ერთად იბრძვიან. ისინი ბევრად უფრო გაწვრთნილები ბრუნდებიან სამშობლოში, ვიდრე ჯარისკაცები, რომლებიც კონფლიქტის ზოლზე იმყოფებიან. მაღალპროფესიული სამხედრო ძალები ევროპულ ოჯახსა და ნატო-ში გაწევრიანებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია“,** — აღნიშნავს ავტორი.

№161. ხუთშაბათი, 23 აგვისტო, 2012 წელი.

პუშკინმა ხომ პავლეს „ვერაგობისა და უვიცთა მტერი“ უწოდა და მისი მეფობის ისტორიის დაწერა სურდა. ლევ ტოლსტოი ფიქრობდა, რომ „პავლე პირველის ხასიათი, განსაკუთრებით პოლიტიკური, კეთილშობილურ, რაინდულ ხასიათად მოჩანს“ და აგრეთვე სურდა, „მისი ისტორიის დაწერა ეცადა“. სახელგანსმენილი გენერალი ა.პ.ერმოლოვი კი აცხადებდა, რომ „განსვენებულ იმპერატორს დიდებული თვისებები გამოარჩევდა, ჩვენში ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ იმისი ისტორიული ხასიათი“.

ყველაფერი, აქ თვითმპყრობელ მმართველზე თქმული, ხომ ზუსტად ემთხვევა, სისტემური აზრით, იმას, რაც ბოლშევიკ-სტალინისტ ბერიაზე შეიძლება ითქვას. კითხულობ და ვერ გაიგებ – პაველ პეტროვიჩზეა ნათქვამი თუ ლავრენტი პავლოვიჩზე...

აი, რას გვამცნობდა ხარკოვის უნივერსიტეტის ერთი პროფესორი, პრობლემის ღრმად შესწავლის შედეგად, XX საუკუნის დასაწყისში:

„მიუკერძოებელ თანამედროვეთა, როგორც რუსთა, ისე საზღვარგარეთელთა, შეფასებებით პაველ პეტროვიჩი – ეს დემოკრატი მეფე – გახლდათ იშვიათი ადამიანი ზნეობრივი თვალსაზრისით. გახლდათ გამორჩეული ჭკუით, ფენომენური მეხსიერებით; გახლდათ დიდად განათლებული, ენერგიული, შრომისმოყვარე და ბოლოს, სახელმწიფოს ბრძენი მმართველი, როგორც საგარეო პოლიტიკის საქმეებში, ისე საშინაოსი“.

ხედავთ? და ჩვენ როგორ წარმოგვიდგენია პავლე?

არა, სიცრუე რომ დაიჯერონ, მართლაც შემზარავად უნდა გამოიყურებოდეს; როგორც სიცრუე „ტირანსა“ და „ჯალათზე“ პავლეზე... როგორც სიცრუე „ტირან“ სტალინზე... როგორც სიცრუე „ჯალათ“ ბერიაზე...

ისეთი „ისტორიკოსებიც“ კი, როგორც ვ.ნაუმოვი და ი.სიგაჩიოვია „დემოკრატიის“ ფონდიდან, ზოგჯერ კბილებში რაღაც სიმართლის მაგვარს გამოსცრიან ხოლმე და აღიარებენ, რომ „სისხლიანი ჯალათის, კარიერისტის, ინტრიგანისა და ძალაუფლების მოყვარულის, თავხედისა და მოთავებული გარყვნილის“ ბერიას სახე შექმნილია „კოლექტიური ძალისხმევით ცკ-ის ივლისის (1953 წ.) პლენუმზე“. ამასთანავე ისინი ამტკიცებენ, რომ ასეთ სახეს „მას აქეთ რაიმე არსებითი ცვლილებები არ განუცდია“.

საბედნიეროდ, ჩვენი საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილს თანდათანობით უყალიბდება პირდაპირ საწინააღმდეგო სახე იმის მიუხედავად, რომ ლავრენტი პავლოვიჩის პასკვილურმა სახემ ივლისის პლენუმზე, კოლექტიური ძალისხმევით, დაიწყო მხოლოდ შექმნა, მერე კი ეს ძალისხმევა გაიზარდა „რეფერენტების“, „ისტორიკოსებისა“ და „შემოქმედებითი ინტელიგენციის“ მონდომებითა თუ ცდებით.

ერთ-ერთი ტიპიური მაგალითი: 2007 წლის 29 ივლისს НТВ-ზე მიდის გადაცემა ნინო გეგეჭკორ-ბერიაზე. და რა ჰქვია ამ გადაცემას? სწორია: „ნინა ბერია. სატანის ცოლი“. და ვინ მონაწილეობს მასში? აგრეთვე სწორია: ყველა „კრემლური ცოლის“ საუკეთესო დაქალი ლარისა ვასილევნა და ყველა „დემოკრატიული“ პროცესის უცილობელი წევრი როი მედვედევი; და მედვედევი თანამოქალაქეთ უამბობს რაღაც იმის მსგავსს, რომ პოლიტბიუროს საშვს თითქოს წარმოადგენდა ხელმოწერილი „დასახვრეტი“ ფურცლების რაოდენობა...

იმავე წლის 13 ნოემბერს ვინმე ანდრეი მალახოვის გადაცემაში „დაე, ილაპარაკონ“ მხცოვანი დედაბრები ჰყვებიან, თითქოს ოდესღაც მათი გამაპატიურებელი „ლპ“ იმნაირი მტარვალი იყო, როგორიც არავის არ ენახა...

ახლა იმასაც გავეცნოთ, თუ როგორ ცრუობს „ადამიანთა სულების ინჟინერი“, მწერალი კონსტანტინე სიმონოვი.

„ბერიას უნდოდა დამატებითი პოპულარობის მოპოვება იმ კაცად საკუთარი თავის ჩვენებით, ვინც განზე გასწიეს სტალინის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში, იმ კაცად, რომელსაც ბელადი არ ენდობოდა ან შეუწყვიტა ნდობა...

„ესეც თქვენი სტალინი, თითქოს ამბობდა „ლპ“, თქვენ როგორც გნებავთ, მე კი ხელს ვიღებ იმაზე“.

მწერალი ცრუობდა თუნდაც იმიტომ, რომ ბელადის რომელ უნდობლობაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ 1952 წლის ოქტომბერში მან შეიყვანა ბერია სკკპ-ის პროგრამის გადამმუშავებელ ვიწრო კომისიაში და კიდევ მეტად ვიწრო „ხელმძღვანელ ხუთეულში“, ხოლო 1953 წლის იანვრის ბოლოს სულაც რჩეულ ორგანოში – „სამეულში“.

თანაც სიმონოვი ქრონისტადაც ჩაფლავდა, როცა ამტკიცებდა, რომ სიკვდილის წინ უკანასკნელ თვეებში სტალინმა სახელმწიფო უშიშროების მინისტრად დანიშნა „ძველი პარტიული მუშაკი“ იგნატიევი; ჯერ ერთი, ეგ რანაირი „უკანასკნელი თვეებია“ – 1951 წლის 9 აგვისტოდან 1953 წლის 5 მარტამდე... მეორეც, იგნატიევი არ ყოფილა არავითარი ძველი პარტიელი!

ტყუილს ყოველთვის მოკლე ფეხები აბია და მწერალს თავისი მემუარების ერთ ადგილას წამოსცდა შემდეგი: ჩემგან 1953 წელს რედაქტირებადი „ლიტერატურნაია გაზეტას“ გვერდებზე „ბერიას გვარი შეგხვდებოდათ მარტო სოფლის მეურნეობის შესახებ რომელიმე შენიშვნაში, სადაც მისი სახელობის კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა ფიგურირებდა“. 1953 წლის „ლიტერატურკის“ შეკვრაც ვნახე და „პრავდისაც“ და შემიძლია ამის დადასტურება. არადა, დემოკრატებმა ხომ „მილიონობით მკითხველისა და მაყურებლის“ ყურთასმენა წაიღეს, ვითომ ბელადის გარდაცვალების შემდეგ „ლპ“ განაგებდა მთელ ცენტრალურ პრესას და თავშეუკავებელ თვითრეკლამას ეწეოდა.

სიმონოვი იმასაც ვერ მიხვდა, თუ რა გულწრფელი იყო ბერიას პატივისცემა სტალინის გენიისადმი და ბელადის ისტორიული მასშტაბის აღქმა...

ჭეშმარიტად რომ ბოლმა ბრმაა და ვაგლახ, რომ აქტიურიცაა! 1953 წლის 16 ივლისს ვინმე ელენე ლოლობერიძე, 1937 წელს რეპრესირებული ლევან ლოლობერიძის და, წერს მიქოიანთან წერილში:

„ახლა, როგორც იქნა, დადგა ჟამი, როცა თვალნათ-



## სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

### რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




ლივ გაცხადდა, რომ ლევანის დამღუპველი კაცი ხალხის მტერია. ლავრენტიმ ის შეგნებულად დაღუპა, მხილებებს შეუშინდა.

საეჭვოა, რომ თქვენთვის ნამდვილად იყოს ცნობილი, თუ როგორ ეჯავრებოდა ლ.ბერიას ჩემი ძმა იმიტომ, რომ მის ხელში ერთ დროს (1933 წელს) აღმოჩნდა ბერიას ბიოგრაფიის სამარცხვინო ფაქტების დამადასტურებელი მასალები...“

ელენე ლოლობერიძე წერილს ურთავს ძმის თითქოს სიკვდილისწინა ჩანაწერების ასლებს, თითქოს თბილისის სატუსაღოში გაკეთებული ჩანაწერებისა. ქალბატონი იტყობინებოდა, ორიგინალები გ.მ.მალენკოვს გავუგზავნეო (არადა ეს ორიგინალები მოგვიანებით ვერსად ვერ ნახეს). ფრთხილმა – აბა სხვანაირად როგორ! – ანასტას ივანიჩმა „მოქალაქე ლოლობერიძის განცხადებას მსვლელობა მისცა მხოლოდ 1954 წლის 16 იანვარს და ლევან ლოლობერიძე XX ყრილობის შემდეგ მშვიდობიანად იქნა რეაბილიტირებული.

არადა, „ლპ“-ს კი არ სძულებია ლევანი, არამედ ლევანს სძულდა, თურმე, ლავრენტი! აი, რას სწერდა ბერია მოსკოვში ორჯონიკიძეს:

„სოხუმში ისვენებს ლევან ლოლობერიძე. ამხანაგ ლაკობას და ზოგიერთი სხვა ამხანაგის გადმოცემით, ამხანაგი ლოლობერიძე ჩემზე და ამიერკავკასიის ახალ ხელმძღვანელობაზე უსაზიზღრეს რამეებსავრცელებს. კერძოდ, ჩემს წარსულ მუშაობაზე მუსავატისტურ კონტრდაზვერვაში; ამტკიცებს, რომ პარტიამ ამის თაობაზე თითქოს არ იცოდა და არ იცის. არადა, თქვენთვის ხომ კარგად ცნობილია, რომ მუსავატისტურ დაზვერვაში პარტიამ გამაგზავნა და ეს საკითხი 1920 წელს განიხილებოდა აზერბაიჯანის კომპარტიის (ბოლშევიკების) ცკ-ში თქვენი თანდასწრებით...“

აი, ასეთი „საგებისაგან“ იქმნებოდა კიდევაც, კოლექტიურად, სახე „ჯალათი ბერიასი“. სხვათა შორის, ა.სუხომლინოვის წიგნში მოყვანილია თითქოსდა ბერიას მაკომპრომეტირებელი დაჭერის ვიზების ფაქსიმილიები საქართველოში, 1937 წელს. ამ „ვიზების“ ფალსიფიკატორებმა (სიყალბე კი, ფაქსიმილური აღდგენის წყალობით, აშკარაა) ლავრენტი პავლოვიჩის „ხელისა“ და „ხელმოწერების“ ერთნაირი ყაიდით შესრულებაზეც არ იზრუნეს. ეს კი მართლაც სახუმარო როდია – უკვე მისიკვდილებული „გამოძიებაში მყოფის“ საქმეზე ლამის ოთხი ათეული ყალბი ტომის უშეცდომოდ დამზადება.

დიახ, ბერიას სიბინძურის, გოვზები რა არის, ცისტერნები მიასხეს დაღუპვის მერე... ეტყობა, მტკიცე ბოლშევიკი ბერია ხელს უშლიდა მრავალრიცხოვან მოხელურ და თავის თავზე შეყვარებულ პატივმოყვარესა და ტუტუცს, საბჭოთა ხელისუფლების ფარულ მტრებზე რომ არა ვთქვა რა! უშლიდა სიცოცხლეში. უშლის დაღუპვის შემდგომი ათწლეულების სიგრძეზეც...

კლიშე 1937 წლის „დიდ ტერორზე“, „პენსნეიან ჯალათზე“, რომელმაც რაო და, ჯალათი-ჯუჯა“ ეჟოვი შეცვალაო „წამების საქმეთა უწყებაში“, გახდა ჩვეული და მდგრადი. ადამიანებს სჯერათ სიცრუისა; და შემზარავი სიცრუისა რატომღაც უფრო ხშირად სჯერათ, ვიდრე სიმართლისა. ნებისმიერი საბაბით, როცა იმ ეპოქას ახსენებენ, პოლიტკორექტულ მოქალაქეს მოეთხოვება აგრეთვე ორი-სამი მორიგე ფრაზის თქმა „სისხლიანი ბერიას მასობრივ რეპრესიებზე“, როგორც ადრე მასვე მოეთხოვებოდა ორი-სამი ფრაზის თქმა სკკპ-ის მორიგი „ისტორიული“ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ; და ამ მოდას აჰყვებიან ხოლმე სავსებით, თითქოსდა, სერიოზული ადამიანები.

გავიხსენებ სუკ-ის გენერალს ვიტალი პავლოვსა და მის წიგნს „ოპერაცია „თოვლი“... იქ, ერთ-ერთი თავის დასაწყისში, ავტორი იუწყება:

„მთავრდებოდა 1937 წელი. ახლა ჩვენ მას ვიგონებთ, როგორც ჩვენს სამშობლოში მრავალთა ტანჯვისა და სასტიკ განსაცდელთა ცუდ დროს.

მაშინ კი, ჩემთვის სამახსოვრო ადრიან დეკემბრის დილას, ჩვენ – მეგობრული სტუდენტური ჯგრო – მხნედ მივაბიჯებდით მეცადინეობებზე ციმბირის ავტოსაგზაო ინსტიტუტში. გაცხოველებით ვლაყბობდით რაღაცაზე, წარსულზე – დაუფიქრებლად და მერმისზე – არცთუ დიდად შეწუხებით...“

ეს რომ წავიკითხე, თავილა გავაქნიე... არ გინდა! კაცი თვითონ წერს, რომ ის და მისი ამხანაგები იმ თითქოსდა „საშინელი“ 1937 წლის ბოლოს უზრუნველები, მხიარულები იყვნენ და მომავალს ოპტიმიზმით გაჰყურებდნენ და თვითვე გვიმტკიცებს, რომ ახლაო, იმ დროს ვიხსენებ, როგორც ავსო...

დიახ, ჰებელსი მართალი იყო – მხოლოდ შემზარავი სიცრუის დაჯერება შეიძლება, როგორც სიმართლისა...

ეგების სპარტაკელი ფეხბურთელი ძმების სტაროსტინების გახსენებაც ღირდეს, უფრო ზუსტად, ნიკოლაისა, იმათგან უფროსისა. 1991 წლის ანტიბერიულ კრებულში მისი „მოგონებებიც“ გვხვდება. აშკარა გამონაგონებებით სავსე, ისინი მაინც საინტერესონი არიან რამდენიმე დეტალით. მაგალითად, სტაროსტინი იხსენებს, თუ როგორ მივიდა ერთხელ, ომამდე, მასთან საციგურაოზე ლავრენტი პავლოვიჩი სპორტულ თემებზე სალაპარაკოდ და აი, რა მოხდა მერე:

„მან (ბერიამ – **ს.კ.**) მითხრა: „წადით, ნიკოლაი, ითამაშეთ. თქვენ ყველაფერი აგვიხსენით, ჩვენ უთქვენოდ ვნახავთ, მადლობა ინფორმაციისთვის (მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ „ლპ“-ის ზედმიწევნით თავაზიანობას – **ს.კ.**). იმ ჯერზე მან თავის ამალასთან წარმადგინა: „ეს სწორედ ის სტაროსტინია, ერთხელ რომ გამექცა ტიფლისში“.

... ბერია აშკარად კმაყოფილი დარჩა მომხდარი ეფექტით. ყველასგან დიდი ხნის დავიწყებულ მატჩს გულისხმობდა. 1920-იანი წლების დასაწყისში მოსკოვის ნაკრები თბილისში თამაშობდა. ჩვენს მეტოქეთა რიგებში გამოდიოდა ზორზოხი, არც ისე ტექნიკური, მოუხეშო მარცხენა ნახევარმცველი. ეს გახლდათ ბერია... მეორე ტაიმში მე მართლაც გავექეცი მას და გოლი შევაგდე“.

„ზორზოხი...“ ეს უკვე მტრული გრძნობისგანაა, იმ წლებში ლავრენტი მსუბუქი და აღნაგი გახლდათ. მომენტი კი საინტერესოა „ლპ“-ის საერთო სახის დასახატად... ის მაგარი ჯანმრთელობით არ გამოირჩეოდა და მაინც, მშვენივრად ესმოდა სპორტის მნიშვნელობა, საქმის ამ მხარეს ყოველთვის უთმობდა ყურადღებას, როგორც ხელმძღვანელი; ჩინებულად ისროდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ვეტერანები გვიამბობენ, რომ მაგარ სასმელებს არ სვამდა, არ ეწეოდა, სანადიროდ არ დადიოდა, სამაგიეროდ, თევზაობა უყვარდა და ამით განსაკუთრებით იყო გატაცებული ამიერკავკასიაში მუშაობისას...

თარგმნა
**თამაზ ეზანოიძემ**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-152, 154-160

◉ წინ, საქართველო!

# ბოსნიიდან სლოვენია გამოჩნდა




**რამდენჯერ გვსმენია, ქართველები სხვის ომებში არიან მაგრებიო. ვინც შეგნებულად იბრმავებს და იყრუებს თავს, კი ბატონო, იყოს ასე, მაგრამ ვინაიდან ეს სტრიქონები წიგნიერი მკითხველისთვის იწერება, სიამაყით ვამბობთ: ჩვენ საკუთარ ომებშიც მაგრები ვართ, ოღონდ მაშინ, როცა ბრძოლებში პროფესიონალი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მხედართმთავრები მიგვიძღვიან წინ.**

ეს ისე, სხვათა შორის, ახლა კი, მოდით, ჯერ მრავლისმეტყველ საოქმო მონაცემებს გავეცნოთ და რეზიუმე შემდეგ გავაკეთოთ.

**„ევრო — 2013"-ის საკვალიფიკაციო ტურნირი. „დ" ჯგუფი. III ტურის მატჩი.**

**ბოსნია — საქართველო 95:96 (9:28, 29:26, 34:23, 23:19)**

**ბოსნია:** ტელეტოვიჩი — 27, დედოვიჩი — 20, მასიჩი — 17, სინანოვიჩი — 13 ქულა, 12 მოხსნა, პერშიჩი — 8, კიკანოვიჩი — 6, რაიტი — 4 ქულა, 13 მოხსნა, 14 პასი, 4 ჩაჭრა.

**მწვრთნელი** — ალექსანდრ პეტროვიჩი (ხორვატეთი).

**საქართველო:** პულენი — 20, სანიკიძე — 19 ქულა, 11 მოხსნა, მარკოიშვილი — 17 ქულა, 5 ჩაჭრა, ფაჩულია — 16 ქულა, 7 მოხსნა, ცინცაძე — 12 ქულა, 7 პასი, შენგელია — 12 ქულა, 6 მოხსნა. ითამაშეს აგრეთვე შერმადინმა, მეტრეველმა და ბოისამ.

**მწვრთნელი** — იგორ კოკოშკოვი (სერბეთი).

ამ ძლევაი საკვირველს სრულიად საქართველომ უყურა, ამიტომ მოკლედ მოვჭრით: მოვლენათა ანალოგიური სცენარით განვითარება ბევრ ძლიერ გუნდს მოშლიდა ფსიქოლოგიურად; აწ უკვე თორნიკე შენგელიას თანაკლუბელის მირზა ტელეტოვიჩის („ბრუკლინ ნეთსი") ფილიგრანული ინდივიდუალური ოსტატობა არაერთი ნაკრების დასაჩოქებლად აღმოჩნდებოდა საკმარისი; და ბოლოს, სერბმა იგორ კოკოშკოვმა ხორვატ კოლეგას ალექსანდრ პეტროვიჩს მოუგო პირადი ტაქტიკური პრინციპული დუელი.

ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

**ლატვია — ჰოლანდია 85:70. ისვენებდა რუმინეთი.**

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 3 | 2 | 1 | +20 | 5 |
| საქართველო | 2 | 2 | 0 | +17 | 4 |
| ლატვია | 2 | 1 | 1 | +12 | 3 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 1 | –10 | 3 |
| ჰოლანდია | 3 | 0 | 3 | –39 | 3 |

**ხვალ:** თბილისის სპორტის სასახლე. 19 საათი. საქართველო — ლატვია, რუმინეთი — ბოსნია. ისვენებს ჰოლანდია.

**გია პლატონიშვილი**

**მინაწერი: „ჯვაროსნები" სარაევოში ჩარტერული ავიარეისით ჩავიდნენ.**

**დაგვეთანხმებით, საგულისხმო ნიუანსია.**

**ჰოდა, კარგად დასვენებულებმა და ძალებმოკრებილებმა ღირსეულად იბრძოლეს და გაიმარჯვეს კიდეც.**

**გ. პ.**

◉ ოქროს სტარტი

# ომარ გურჯიძე მსოფლიოს ჩემპიონია

**ქართველი თავისუფალი სტილით მოჭიდავე, ჭაბუკთა ნაკრების წევრი ომარ გურჯიძე (69 კგ) მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.** ბაქოში დაწყებული ფორუმის ფინალში მან უკრაინელ სერგეი დრამარეცკის შანსი არ დაუტოვა — 1:0, 8:1, იქამდე კი სამი შეხვედრა მოიგო და სამივე ორ-ორ პერიოდში — მეთექვსმეტედფინალში ამერიკელ ჯეკ ბასს 1:0, 1:0 აჯობა, შემდეგ ირანელ რეზა როსტამალი მოზაფარიჯუვბარისთან 3:1, 4:1 იმარჯვა, ნახევარფინალში კი ბულგარელი საბრი საბრიევი ჩამოიცილა — 1:0, 5:0.

სტარტზევე მედლები კიდევ ოთხ წონით კატეგორიაში გათამაშდა და საქართველოს ნაკრების ორ წევრს კვარცხლბეკამდე თითო მოგება დააკლდა — **გიორგი ლეჟავამ (50 კგ)** და **ავთანდილ კენჭაძემ (58 კგ)** საბოლოოდ მე-5 ადგილები დაიკავეს.

ლეჟავა „ბრინჯაოს ფინალში" ძირითადი ნახევარფინალიდან გადაერთო მომავალ ჩემპიონთან, ირანელ ალი ფარვიზ მოჰამადზადენაგარჩისთან თანაბარ, დაძაბულ ბრძოლაში წაგებით (0:1, 1:1). იქ კი უკრაინელ ანდრეი ვაცენკოსთან სამპერიოდიან ბრძოლაში დამარცხდა (0:4, 1:0, 0:3). ამ ორ წაგებამდე ქართველმა მოჭიდავემ უზბეკი დოსტონბეკ ბოზოროვი (3:3, 5:4, 4:0) და მონღოლი ხიშიგბატ ხუვაგტბაატარი (1:0, 9:1) ჩამოიცილა.

კენჭაძემ ოქრო-ვერცხლისთვის ბრძოლის შანსი პირველსავე მოწინააღმდეგესთან, რუსეთელ ტაიმურაზ გურიევთან მარცხით დაკარგა (0:4, 0:6) და დამამშვიდებელ ეტაპზე მას შემდეგ გადაერთო, რაც გურიევმა ფინალში ჭიდაობა გაინაღდა. ბრინჯაოს გზაზე სამხრეთაფრიკელი იან კომბრინკი კი ჩამოიშორა (0:1, 2:0, 7:0), მაგრამ ირანელ სამირ სატარ ვავარისთან ველარას გახდა.




◉ ახალი სახე

# ოთხი წლით — გურამ კინწურაშვილი

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში გაიმართა საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა, სადაც ხმის მიცემის მქონე სუბიექტებმა ახალი პრეზიდენტი აირჩიეს.**

დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი პრეზიდენტობის ერთადერთ კანდიდატს — გურამ კინწურაშვილს, რომელიც საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

ასევე დელეგატებმა აირჩიეს ახალი ვიცე-პრეზიდენტი — ზურაბ ხეცაძე და გამგეობის ორი წევრი — ლევან ბრეგვაძე და თამაზ შოშიაშვილი. ამასთან, დაამტკიცეს ფედერაციის წესდების ახალი რედაქცია, რომელშიც გარკვეული ცვლილებები შევიდა.



◉ ფეხბურთი

# სულ სხვაა დილა კუნძულზე

**გორის „დილა" კუნძულ მადეირაზე, ქალაქ ფუნშალშია და „მარიტიმუსთან" ევროპის ლიგის პლეიოფის პირველი მატჩისთვის ემზადება. თემურ შალამბერიძის გუნდს რომ საკადრო პრობლემები აქვს, ეს სიახლე არაა.** მატჩს გამოტოვებენ ზურაბ არზიანი, გულვერდ თომაშვილი, ირაკლი მოდებაძე, კახა ალადაშვილი (მათ ტრავმები აწუხებთ) და დისკვალიფიცირებული მათე ვაწაძე. დისკვალიფიკაცია მოიხადა გოგიტა გოგუამ და ასევე, გუნდს დაემატა ირაკლი კლიმიაშვილი. გოგუაც და კლიმიაშვილიც პორტუგალიაში არიან. ვაწაძის არყოფნა განსაკუთრებული დანაკლისია — „დილას" ბომბარდირმა მიმდინარე ევროპის ლიგის 4 მატჩში 5 გოლი გაიტანა.



„დილას" საიტის ცნობით, „მარიტიმუსთან" დღევანდელი მატჩისთვის ემზადებიან: მარინ სკენდერი, ბექა შეყრილაძე, გიორგი შაშიაშვილი, ლაშა სალუქვაძე, გიორგი ონიანი, დავით კვირკველია, ნიკა ჯიშკარიანი, გიგა ბეჭვაია, ლაშა გვალია, შოთა გრიგალაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ვაკო კაციტაძე, შოთა კაშია, გოგიტა გოგუა, გიორგი კახელიშვილი, სანდრო გურული, გიორგი ილურიძე, რომან ახალკაცი.

მატჩი თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება და ჩეხ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება. მთავარი არბიტრი ლიბორ კოვარჟიკი იქნება. შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟი „ეშტადიუ დუშ ბარეირუშის" სტადიონიდან (ტევადობა 8922) საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე გადაიცემა. რაც შეეხება ამ გუნდების ბოლო მატჩებს: „დილამ" ორი მარცხით დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი („ვიტ ჯორჯიასთან" 0:1, „ჩიხურასთან" 2:3), ხოლო „მარიტიმუმ" პორტუგალიური სეზონის პირველ ტურში „რიუ ავეს" სტუმრად 1:0 აჯობა.

* * *

**ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო რაუნდი. I მატჩები.** „გლადბახი" — კიევის „დინამო" 1:3, „სპარტაკი" — „ფენერბახჩე" 2:1, „ბაზელი" — „კლუჟი" 1:2, „კოპენჰაგენი" — „ლილი" 1:0, „ჰელსინგბორგი" — „სელტიკი" 0:2.

◉ ესეც ქველმოქმედებაა

**ოლიმპიური მედალი მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული სპორტული ჯილდოა. რთულია იმის წარმოდგენა, რომ ილიმპიადის გამარჯვებულმა საკუთარი ნებით თქვას უარი ამ ჯილდოზე. თუმცა ზოგჯერ გამარჯვების ეს ფასდაუდებელი სიმბოლო ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ხდება.**

პოლონელი სერფინგისტი ზოფია ნოჩეტი-კლეპეცკაია, რომელიც ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, აპირებს მედალი აუქციონზე გაყიდოს, რათა თავის 5 წლის მეზობელ გოგონას დაეხმაროს, რომელიც უმძიმესი გენეტიკური დაავადებით, მუკოვისციდოზით იტანჯება. ჯერ კიდევ ოლიმპიადის დაწყებამდე სპორტსმენმა განაცხადა, რომ გოგონას გადარჩენისთვის იბრძოლებს. „გპირდები, რომ ამ მედალს შენთვის მოვიპოვებ. როდესაც ჯილდო ჩვენს ხელში იქნება, მას გავყიდით და ვიყიდით პატარა გასაბერ სასახლეს. ყოველ შემოდგომას ჩვენ თბილ მხარეებში გავატარებთ, რათა შენ არასდროს აღარ იავადმყოფო," — დაწერა სერფინგისტმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

## 5 ოლიმპიური მედალი, რომელიც ყველაზე ძვირად გაიყიდა



სპორტის ისტორია ოლიმპიური მედლების გაყიდვის რამდენიმე შემთხვევას იცნობს. თითოეული მათგანი - ესაა განსაკუთრებული ნაბიჯი სპორტსმენის მხრიდან და ძირითადად კეთილი მოსაზრებებითაა ნაკარნახევი.

ამერიკელმა ენტონი ერვინმა მედალი 17 ათას დოლარად გაყიდა. 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე მოცურავემ ოქროს მედალი მიიღო, 2003-ში კი სპორტი დატოვა 22 წლის ასაკში. ამის შემდეგ ის რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიოში მოგზაურობდა.

ინდოეთის ოკეანეში 2004 წელს მომხდარი ცუნამით დაზარალებულების დასახმარებლად ენტონი ერვინმა თავისი მედალი 17 ათას დოლარად გაყიდა.

პოლონელი ოტილი ედრჟეიჩაკი ოლიმპიურ მედალს 83 ათას დოლარად შეელია. ამ მოცურავე ქალბატონმა პირველი ადგილი 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე მოიპოვა. თუმცა არ გასულა ნახევარი წელი და მან ოქროს მედალი აუქციონზე გაყიდა.

ამ ნაბიჯით მას სურდა დახმარებოდა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს. მედლის გაყიდვით მიღებული 83 ათასი დოლარი კრაკოვის სამედიცინო უნივერსიტეტს გადაერიცხა.სპორტსმენმა ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როდესაც წაიკითხა წიგნი ლეიკემიით გარდაცვლილი ბიჭის შესახებ.

ტომი სმიტი ამერიკელი სპრინტერია, რომელიც 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქროს მედლის 250 ათას დოლარად გაყიდვას შეეცადა. კვარცხლბეკზე დგომისას მან და ბრინჯაოს პრიზიორმა ჯონ კარლოსმა თავები დახარეს და შავხელთათმნიანი მუშტები ზემოთ ასწიეს. ამ ფორმით სპორტსმენებმა პროტესტი გამოუცხადეს რასიზმს აშშ-ში. არც ერთი და არც მეორე მეტჯერ ოლიმპიადაზე არ დაუშვიათ.

2010 წელს ტომი სმიტმა აუქციონზე საკუთარი მედალი გამოიტანა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამის მიზეზი სპორტსმენის ფინანსური პრობლემები იყო, მოგების ნაწილი კი საქველმოქმედო მიზნებით უნდა დახარჯულიყო. თუმცა სმიტს არავინ გადაუხადა 250 ათასი — სწორედ ასე შეაფასა მან საკუთარი მედალი.

ამერიკელი მარკ უელსი მონაწილეობდა სსრკ-სა და აშშ-ის ჰოკეისტთა მატჩში 1980 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე, ლეიკ-პლესიდში. ამ თამაშმა მიიღო სახელწოდება „სასწაული ყინულზე." სტუდენტური გუნდების მოთამაშეებისგან დაკომპლექტებულმა ამერიკულმა გუნდმა მოულოდნელად დაამარცხა საბჭოთა ნაკრები, რომელიც ოლიმპიური თამაშების მოქმედი ჩემპიონი იყო. თუმცა მალე ჰოკეისტი იძულებული გახდა, დამშვიდობებოდა ოლიმპიურ მედალს, რათა გადაეხადა იშვიათი გენეტიკური დაავადების მკურნალობის ხარჯები, რომელიც მას აღმოაჩნდა. მედალი კერძო კოლექციონერმა იყიდა, რომელმაც მოგვიანებით ის 310,7 ათას დოლარად გაყიდა.

ყველაზე ძვირად გაყიდული ოლიმპიური მედლების რეიტინგის ლიდერი უკრაინელი მოკრივის ვლადიმირ კლიჩკოს მიერ მიღებული ჯილდოა, რომელიც მილიონ დოლარად შეიძინეს. 2012 წლის მარტში კლიჩკომ 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე მოპოვებული მედალი საქველმოქმედო აუქციონზე გამოიტანა. მყიდველმა, რომლის ვინაობაც არ სახელდება, მასში მილიონი დოლარი გადაიხადა. თუმცა აუქციონის დასრულებისთანავე მან სპორტსმენს პატივისცემის ნიშნად მედალი უკან დაუბრუნა. ვლადიმირ კლიჩკოს განცხადებით, მედლის გაყიდვით მიღებული თანხებით ასობით ათასი უკრაინელი ბავშვის ოცნება ახდება.

finance.tut.bu

◉ რეცენზიის მაგიერ

# წიგნი სიცოცხლის სიყვარულზე

**ჩემი თაობის მკითხველს, ამ წიგნს რომ გადაშლის, მერე დახურვა არ მოუნდება. ის არც რომანია და არც მოთხრობა, ის ცნობილ სუბიექტებთან ურთიერთობის მხატვრული აღწერაა, რომელიც ასე მოქნილად და საინტერესოდ გამოსვლია ნიჭიერი კინოსცენარების „ვედრებისა“ და „მონანიების“ ავტორს, მწერალსა და მოაზროვნე კაცს, რეზო კვესელავას. წიგნისთვის მას ფილოსოფიური სათაური მოუძებნია და ფაქტობრივად თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ჩანაწერებია, რომლებიც ბუნებრივად დაკავშირებული იქნებოდა მწერალთა და კულტურის სხვა მოღვაწეთა მოწინავე ჯგუფთან. ამ წიგნს რომ კითხულობ, უთუოდ მოგინდება ზოგადად გაანალიზება: როგორც ლექსს ეტყობა, ნაწვალებია თუ ერთი ამოსუნთქვით დაწერილი, ისეა ბატონი რეზოს ჩანაწერებიც. დარწმუნებული ვარ, წერას რომ მორჩა, მერე არც გადაუკითხავს და სასვენი ნიშნებიც არ ჩაუსწორებია. ასე, ლაღად და ძალდაუტანებლად უწერია, როგორც მოუყვებოდა ის თავის თანატოლს, მეზობელს მოგუზგუზე ბუხართან მჯდარი.**

ბატონი რეზო ისეთ მძიმეწონოსან მოღვაწეებთან ურთიერთობაზეც გვიყვება, როგორებიც იყვნენ კონსტანტინე გამსახურდია, გოგლა ლეონიძე, აკაკი გაწერელია, ნოდარ დუმბაძე, დიდი მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი, ხოლო სახელგანთქმულ სკულპტორ ელგუჯა ამაშუკელთან მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა. ყველა მათგანთან შეხვედრის შთაბეჭდილებიდან მას ამ წიგნისთვის ის მთავარი და მნიშვნელოვანი შეურჩევია, რომელიც ღირდა ფართო მკითხველთან მოსატანად. ორიგინალურად ახასიათებს ის ბატონ აკაკი გაწერელიას, რომელიც თურმე **„ოპტიმიზმის იდეოლოგიურ ხანაში თაობებს პესიმიზმით მკურნალობდა“.**

რეზოს პირველად რომ უნახავს სახელოსნოს ნახევრად ბნელ ოთახში „ვახტანგ გორგასალი“, გაოგნებულს აღმოხდენია - ამხელა მეფე როგორ ააშენა ამ პატარა კაცმაო; ელგუჯა ტანად არც ისე პატარა იყო, მაგრამ ბნელ ოთახში „დამწყვდეულ“ მეფესთან შედარებით შეიძლებოდა ასეთად მოჩვენებოდა.

ომიანობის წლებს არავინ დაუტოვებია გულარხეინად და რაღა სოფელი ნახარებაო იქნებოდა გამონაკლისი, მაგრამ რეზოს თხრობაში სხვა რაღაცაც რომ იკითხება, იმიტომ არ დავტოვე უყურადღებოდ. ბავშვობაში ჩვენი ერთი მეგობრის ეზოში ფეხბურთის თამაშის დროს ცალი თვალი სამზარეულოსკენ გვეჭირაო, ყვება ბატონი რეზო, საიდანაც კვამლი თუ ამოდიოდა, სადილიც გარანტირებულად მიგვაჩნდაო, თანაც ჩვენ ცოტანი როდი ვიყავით და ვიცოდით ოჯახს ტვირთად ვაწვებოდით, მაგრამ რა გვექნა, გვშიოდა და სხვა გზა არ გვქონდაო. მერე, მცირე პაუზის შემდეგ ორიგინალურად დასძენს — არც მასპინძლებს ჰქონდათ სხვა გზაო. ამასთან დაკავშირებით მას მოაქვს ნიკოლოზ ბერდიაევის გამონათქვამი **„თუ მე მშია, ეს ჩემთვის ბიოლოგიური მოვლენაა, მაგრამ სხვას თუ შია, მორალურიო“.**

ის გვიყვება, რა უთქვამს კონსტანტინეს მის შეკითხვაზე „ექიმ ჟივაგოს“ შესახებ: „Вистраданная книга“-ო და ჩიბუხის გაწყობა დაუწყია. როგორც ჩანს, მას ჩიბუხის გაბოლებისთვის არ დაუცდია, ალბათ იფიქრა, ამაზე მოკლედ და ამომწურავად რა უნდა ეთქვაო.




რეზო არ არის ის კაცი, ვინმეს ნაღვაწს არ უფასებდეს, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი მწერალი გამორჩეულად რომ უყვარს, უდავოა. წაუკითხავს კნუტ ჰამსუნის „მიწის წვენის“ რუსული თარგმანი, რომელსაც ოციან წლებში ნობელის პრემია მინიჭებია. ცხადია, მოიხიბლებოდა, ეს რომანი ნამდვილი პოეტის დაწერილიაო, ამბობს, მაგრამ ახსენდება რეზო ინანიშვილის მოთხრობები, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან „მიწის წვენს“, მაგრამ ნობელამდე ვინ მიიტანდაო, წუხს. იგონებს, როგორ მოჰყავდა აღტაცებაში ინანიშვილის ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს დამწყვდეულ მელიაზე - ვკითხულობდი ამ სტრიქონებს და **„გზადაგზა მავიწყდებოდა რომ ეს ავტორის ფიქრებია და არა თვით მელიასიო“.** მერე ეხება ინანიშვილის მიერ ჩიტუნაზე მონათხრობს, რომელსაც ამ კოსმიურ სამყაროში ყოველ ბუჩქზე, ყველა ტოტზე და ლობის ყველა მესერზე საფრთხე ელოდება. ყველა ეს ბრძოლის ველიაო და თვითონ ასკვნის, **„რა არის მთელი მექანიკის არსენალი ამ პატარა ჩიტუნას სიცოცხლესთან შედარებით“.** ეს არის სწორედ სიცოცხლის სიყვარულის დიდი პოეტისეული აპოლოგია, რომელიც დაეხმარა მას სიცოცხლის შენარჩუნებაში. ძალიან ფაქიზი გრძნობების კაცია ბატონი რეზო, და წარმომიდგენია, რა ძნელი გადასატანი იქნებოდა მისთვის უბედური შემთხვევის შედეგად მიღებული ტრავმა, რაზედაც მე ერთხელ წამომცდა — ეს რომ არა, მოუსვენარი და საოცად მოძრავი ჩვენი რეზო რას მოიცლიდა გონებრივი შრომისთვისმეთქი, ისე კი, სწორედ სულის სიმტკიცემ შეაძლებინა ამ ფიზიკური სისუსტის დაძლევა და საეკრანო შედევრების შექმნაში დიდ რეჟისორთან თანამშრომლობა.

პირადად მე ამ წიგნთან და მის ავტორთან სრულიად სუბიექტური საწყისებიც მაკავშირებს — ის სოფელი ნახარებაო და ის წრე, რომელზედაც აქვს გაშლილი თხრობა ბატონ რეზოს, ჩემთვისაც ახლობელია და მშობლიურია; რაც მთავარია, იმათი ბედი, რომლებიც ერთნაირი სიყვარულით იყვნენ მოსილნი ჩვენგან და დღეს აღარ არიან, მასთან ერთად მეც მტკივა. რა დაგვავიწყებს ვალია, პლატონ და სასი სულავებს ან ბოცია ვახანიას თავისი მოღრეცილი ფეხებით, ან რა ამორეცხავს ჩვენი გულებიდან რეზოსივე ძმის ბიჭოს, დემურ ჟვანიასა და გიგილა ხარებავას სიყვარულს, რომლებთანაც შეხვედრას მუდამ ვესწრაფვი, ამისათვისაც ვეფერები ამ დიდი სითბოთი და სიყვარულით დაწერილ წიგნს და ველოდები იმასაც, რაც კიდევ დარჩა სათქმელი ამ ნიჭიერ კაცს.

რაც შეეხება წიგნის გამოცემას, ეს არ გაუჭირდება გამომცემლობა „ინტელექტს“ და მის ხელმძღვანელს, სიკეთის კეთებისთვის დაბადებულ კახმეგ კუდავას, რომლის მთელი ოჯახიც ქვეყნისა და ინტელექტუალური საქმის საკეთებლადაა მოწოდებული. მადლობა მას ამ კარგი წიგნისთვისაც.

**ლევან ჩიქვანაია**

◉ ინფორმაცია

## მარშალ გელოვანის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია

**მარშალ** გელოვანის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია. როგორც თბილისის მერიიდან იტყობინებიან, ქალაქში მოძრაობის განტვირთვის მიზნით, მარშალ გელოვანის გამზირის ბოლოდან დავით აღმაშენებლის ხეივნისკენ გასასვლელი გვირაბის მშენებლობა მიმდინარეობს.



აღნიშნულის გამო, 25 აგვისტოს ჩათვლით მარშალ გელოვანის გამზირზე გადაადგილება შეზღუდულია.

— მარჯვენა სანაპიროზე დიღმის მიმართულებით მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებები ბაქრაძის ქუჩის გავლით ბელიაშვილის ქუჩის მიმართულებით იმოძრავებენ. მარშალ გელოვანის გამზირზე გვირაბის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდება, — აცხადებენ მერიაში.

## როგორ უნდა აღადგინონ უძველესი გალავანი?

**როგორც** თბილისის მერიიდან აცნობეს, დედაქალაქის მერია უძველესი გალავნის აღდგენის ინიციატივით გამოდის. ამ მიზნით, თითოეულ თბილისელს შესაძლებლობა აქვს, ვებგვერდზე - www.chemitbilisi.com პუშკინის ქუჩაზე აღმოჩენილი ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და აღდგენის



იდეას მხარი დაუჭიროს და საკუთარი აზრი გამოხატოს. იდეის განსახორციელებლად საჭიროა 15 000 თბილისელის მხარდაჭერა.

აღმოჩენილი გალავანი 110 მეტრის სიგრძისაა. ტერიტორიაზე 5 სხვადასხვა ზომის, ქვიშა-ქვისგან აშენებული კოშკია (გოდოლი) განთავსებული. ორ დიდ კოშკს (გოდოლს) შორის ე.წ. თბილისის ციხე-ქალაქის ერთ-ერთი კარიბჭე — „დიღმის კარის“ არსებობა დასტურდება.

ინტერპრესნიუსი

◉ ჩვენი კარაბადინი

## „ღამის ცვლას“ დიაბეტი ემუქრება



**ღამის ცვლაში მუშაობა ხელს უწყობს არტერიული წნევის ზრდასა და დიაბეტის განვითარებას, აჩვენეს გამოკვლევებმა, რომლებიც მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა მოაწყო. გამოკვლევებში კანადიდან და ნორვეგიიდან 2 მილიონმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.**

**17 ათას ღამის ცვლის მუშაკს აღმოაჩნდა კორონარული დაავადებანი, 6 ათასზე მეტმა უკვე მოასწრო გადაეტანა ინფარქტი, თითქმის 2 ათასმა — ინსულტი.**

იმათ, ვინც ცვლების მიხედვით მუშაობენ, არ აქვთ დასვენების განსაზღვრული გრაფიკი, ერღვევათ ძილისა და სიფხიზლის რეჟიმი. ისინი თავს იფხიზლებენ სტიმულატორებით და თავს იმშვიდებენ სედატიური საშუალებებით. ამას გარდა, ირღვევა კვების რეჟიმიც: როდესაც ნერვული სისტემა სულ აქტიურადაა, ჩნდება სურვილი „ჩაყლაპონ“ სტრესი, და სისხლში გროვდება ქოლესტერინი.

ექიმები ყველას, ვისი ცხოვრებაც ღამის ცვლებსა და ცვალებად გრაფიკში მიმდინარეობს, ურჩევენ რეგულარულად შეიმოწმონ ქოლესტერინის დონე და არტერიული წნევა, და, რასაკვირველია, დაიცვან ჯანსაღი რაციონი და არც სპორტი დაივიწყონ.

## ვინ უფრო გონიერია

**თანამედროვე ქალები მამაკაცებზე გონიერები არიან, აჩვენა გამოკვლევამ, რომელიც ფსიქოლოგმა და ტესტების სპეციალისტმა ჯეიმს ფლინიმ მოაწყო.**

ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, არგენტინისა და ისრაელის 10-დან 30 წლამდე ასაკის ქალისა და მამაკაცის ინტელექტის კოეფიციენტს ადარებდა ერთმანეთს. და ქალბატონები არა მხოლოდ ჩამორჩებოდნენ მამაკაცებს, არამედ უსწრებდნენ კიდეც მათ ნახევარი ან მთელი ქულითაც კი. მხოლოდ ისრაელში, იმავე ნახევარ ან მთელ ქულაზე გადაყვანით, ლიდერებონ მამაკაცები.

გასულ საუკუნეში ტესტები სხვა შედეგებს იძლეოდნენ: ქალების ინტელექტის მაჩვენებლები ტრადიციულად უფრო დაბალი იყო და სხვაობას შეიძლება ხუთ ქულამდე მიეღწია. ფლინის მიაჩნია, რომ ეს გამოიწვია ცვლილებებმა ქალების ცხოვრებაში: მათი სოციალური როლები სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება, ხშირად ქალებს უხდებათ ერთმანეთს შეუთავსონ ბავშვების აღზრდა და კარიერა. ეს აისახა ინტელექტზეც. სტერეოტიპმა, რომელიც აცხადებს, რომ მამაკაცები ჩვეულებრივად ქალებზე უფრო გონიერები არიან, დღეს თავისი აქტუალობა დაკარგა.

**კვირის ციფრები**

**მოზრდილი ადამიანების ერთ-მესამედზე ნაკლები ღებულობს ელემენტარულ ზომებს, რაც აუცილებელია ჯანსაღი მხედველობის შესანარჩუნებლად, აჩვენა გამოკვლევამ, რომელიც მოეწყო 11 ქვეყანაში 11 ათას რესპონდენტთა შორის.**

## კალციუმი ინფარქტს გვიახლოებს?



**იმ ბიოდანამატების მოხმარება, რომლებიც კალციუმს შეიცავენ, ზრდის მიოკარდიუმის ინფარქტის რისკს, მიაჩნიათ სპეციალისტებს გერმანიის კიბოს კვლევის ცენტრიდან. ისინი 11 წლის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს 35-დან 64 წლამდე ასაკის 24 ათას მოხალისეს. მკვლევრებმა ერთმანეთს შეადარეს მიოკარდიუმის ინფარქტების სიხშირე მათ შორის, ვინც არ მიმართავდა ამ ნივთიერების დამატებით წყაროებს.**

აღმოჩნდა, რომ გულის სისხლძენის მწვავე დარღვევების განვითარების რისკი მათ შორის, ვინც კალციუმის გაზრდილი შემცველობის პროდუქტების მეტ ოდენობას ღებულობდა, 86 პროცენტი უფრო მაღალი იყო.

— დამარწმუნებელი დადასტურებანი იმისა, რომ კალციუმის გაზრდილი შემცველობის პროდუქტების მოხმარება ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას, არ არსებობს, — ამტკიცებენ ჩვენი სპეციალისტები. — 11-წლიანი დაკვირვების დროს უფრო მნიშვნელოვანი იყო თვალყური გვედევნებინა მოხალისეებში რისკის ისეთ ტრადიციულ ფაქტორებზე, როგორებიცაა არტერიული წნევისა და ქოლესტერინის დონის ამაღლება, შაქრის დიაბეტის განვითარება, მოწევის სტატუსის არსებობა. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის სწორედ ამ ფაქტორებს შეეძლოთ მოეხდინათ გავლენა. კალციუმი კი შეიძლებოდა ყოფილიყო ინფარქტების მხოლოდ მარკერი და არა მიზეზი.

ЗДОРОВЬЕ

**გამოკითხვა**

**როგორ ავარჯიშებთ მეხსიერებას?**

**44,1 პროცენტი — ვკითხულობ წიგნებს.**

**31,7 პროცენტი — ვცდილობ დავიმახსოვრო საყიდლების, განრიგების სიები ტელეფონების ნომრები**

**29 პროცენტი — ვხსნი კროსვორდებსა და თავსატეხებს**

**25,4 პროცენტი — ვასრულებ ინტელექტუალურ შრომას**

**20,5 პროცენტი — უპირატესობას ვანიჭებ მეხსიერებაში მათემატიკურ გამოანგარიშებებს, კალკულატორის გამოუყენებლად.**

**15,3 პროცენტი — ვსწავლობ უცხო ენებს**

**9,8 პროცენტი — ვსწავლობ ლექსებს ზეპირად**

**5 პროცენტი — ვიყენებ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებს მეხსიერების სავარჯიშოდ**

**სულ გამოკითხვაში 3970 კაცმა მიიღო მონაწილეობა.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

ტესტი

# როგორ მუშაობს თქვენი ინტუიცია?

1. მოგცეთ რთული კითხვა, რომლის პასუხიც თქვენ არ იცით. შეგიძლიათ გამოიცნოთ პასუხი?

ა) დიახ, თუ კარგად დავფიქრდები.

ბ) ზოგჯერ მიმართლებს.

გ) მირჩევნია არ გავრისკო და უბრალოდ უარს ვამბობ პასუხზე.

2. თუ გქონდათ შანსი თქვენს გამოცდილებაზე შეგემოწმებინათ ნიშანი, რომ ახალბედებს ყოველთვის უმართლებს აზარტულ თამაშებში?

ა) დიახ, და კარგადაც მოვიგე.

ბ) დიახ, თუმცა მოგებული მაინც ვერ მივიღე.

გ) არასოდეს წავიდოდი ასეთ რისკზე.

3. თუ ხდება ხოლმე, რომ საუბარში წინასწარ იცით, რისი თქმა უნდა თანამოსაუბრეს?

ა) მახლობლებთან და მეგობრებთან – ძალიან ხშირად, ნახევრადნაცნობებთან – ზოგჯერ ხდება ხოლმე.

ბ) ასეთი რამე ზოგჯერ ყველას მოსდის.

გ) იშვიათად.

4. ხშირად თუ გრძნობთ, ვინ გირეკავთ ტელეფონით დისპლეიზე დაუხედავად ან ყურმილის აღებამდე?



ა) თითქმის ყოველთვის, იშვიათად ვცდები.

ბ) შემთხვევების ნახევარში კი.

გ) ძალიან იშვიათად.

5. თუ გაქვთ „ბედნიერი“ და „არაბედნიერი“ დღეების წინათგრძნობა?

ა) დიახ, და ამას ყოველთვის ვუგდებ ყურს.

ბ) ზოგჯერ ასეთი რამე ხდება, მაგრამ ვცდილობ ყველაფერი გავაანალიზო.

გ) წინათგრძნობისა და ნიშნებისა არ მჯერა.

6. თუ გიცდიათ ოდესმე ამოგეცნოთ უცნობი ადამიანის სახელი, ვიდრე ის ამას თავად დაასახელებდა?

ა) დიახ, ეს ჩემი საყვარელი თამაშია საკუთარ თავთან.

ბ) ვცდილობდი, თუმცა შედეგი არასაიმედოა.

გ) რისთვისაა ეს საჭირო?

7. გწამს პირველი შეხვედრიდანვე სიმპათიისა და ანტიპათიისა?

ა) დიახ, და ვეცდები თავი ავარიდო ურთიერთობას ადამიანთან, რომელიც უმალვე, რაიმე მიზეზის გარეშე უსიამოვნოდ მომეჩვენება.

ბ) დიახ, ასეთი რამ ხდება, მაგრამ ეს როდია მიზეზი უმალვე გაწყვიტო კონტაქტი, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს.

გ) ვცდილობ, ვიყო ობიექტური და დასკვნები გავაკეთო ადამიანების მხოლოდ ქცევის შემდეგ, და არა გარეგნობის ან სიტყვების მიხედვით.

## დაიანგარიშეთ ქულები ცხრილის გამოყენებით და გაეცანით დასკვნებს

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 7 | 5 | 7 | 7 | 7 | 5 | 6 |
| ბ | 3 | 2 | 4 | 4 | 3 | 2 | 3 |
| გ | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 |

**თუ 30-დან 44 ქულამდე დააგროვეთ.**

თქვენი ინტუიცია შესანიშნავად არის განვითარებული. რასაკვირველია, არის შეცდომებიც, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგჯერ გავიწყდებათ, გაიმყაროთ წინათგრძნობა ლოგიკური აზროვნების ჯაჭვით. დაგვიჯერეთ, ალღო შეიძლება ყოველთვის აიხსნას ლოგიკურად – საჭიროა მხოლოდ ცოტა დაფიქრება!

**14-დან 29 ქულამდე.**

ინტუიცია გაქვთ, და თანაც საკმაოდ განვითარებული, მაგრამ გონივრულობა, რაც თქვენთვის არის დამახასიათებელი, სკეპტიციზმი ყოველივესთან დაკავშირებული, რისი თვალით დანახვაც შეუძლებელია და ხელით შეხებაც, თრგუნავენ მას. შეეცადეთ, თუნდაც ზოგჯერ, გჯეროდეთ საკუთარი თავისა.

**13 და ნაკლები ქულები.**

თქვენ თქვენს ქვეცნობიერებასთან ნამდვილად არ მეგობრობთ. ინტუიცია, რასაკვირველია, გაქვთ – იგი ადამიანს ეძლევა როგორც თვითგადარჩენის საშუალება. აი, რატომ არის, რომ ზოგჯერ სახიფათოც კია, არ უსმინო მას!

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77; 599 32-85-76.

ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ-გაზეთებიდან



### „დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს თავისივე ხალხი გამოუტანს განაჩენს“

– მიაჩნია კოალიცია „ქართული ოცნების“ ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტაროზის კანდიდატ ვიქტორ დოლიძეს, – ხალხი, სააკაშვილისგან განსხვავებით, იმისთვის კი არ ემზადება, გარეთ გამოვიდეს და ქვა ისროლოს, არამედ საარჩევნო უბანთან მივიდეს და თავისი თავისუფალი არჩევანი დააფიქსიროს... თუკი საარჩევნო უბანთან რიგები დადგება, 80 პროცენტი მაინც მივა ხმის მისაცემად, ორი აზრი არაა, რომ სააკაშვილს თავისივე ხალხი გამოუტანს განაჩენს“.

„საერთო გაზეთი“.

### მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე დღეში საცხოვრებლად ყვარელში გადავა

– ორ-სამ დღეში ყვარელში გადავალ საცხოვრებლად და მთლიანად დავკავდები რთველის სამუშაოებით. რთველი უნდა ჩავატაროთ ისე, როგორც არასდროს, ხალხს უნდა შეუვიდეს შემოსავალი, – აცხადებს პრეზიდენტი და დასძენს, რომ მომავალი წლისთვის მთავრობამ სტიქიის თავიდან აცილების საქმეზე უნდა იმუშაოს.

### „სააკაშვილი ბეშუმიდან გამოაპარეს“

– გვიმხელს რეჟისორი ქეთი დოლიძე, – როგორც კი ბიძინა ივანიშვილმა მთისკენ შედგა ფეხი და ასი მეტრი გაიარა, სააკაშვილი გააპარეს, მე მანქანასთან ვიდექი, როდესაც გამოვარდა რაციიანი კაცი და ყვიროდა, ოცნება მოვიდა, მოვიდა ოცნება, გაიყვანეთ პირველი! რისი ეშინოდათ, რისი?– მისი ყველა მოქმედება ხომ შიშიდან გამომდინარეობს. ეს დაჭერები, ჟურნალისტებზე ზეწოლა, ანგარიშების დაყადაღება, ამ ყველაფერს შიშის გამო აკეთებს.

„ახალი თაობა“.

### იგეგმება თუ არა „საქართველოს რკინიგზის“ პრივატიზება?

რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „საქართველოს რკინიგზის“ აქციების დაახლოებით 25 პროცენტს ლონდონის საფონდო ბირჟაზე უნდა განთავსებულიყო. ამ პროექტის ინიციატორი მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური იყო, მაგრამ რატომღაც რკინიგზის აქციების საფონდო ბირჟაზე განთავსების იდეა ჩაიშალა. „საქართველოს რკინიგზის“ ვებგვერდზე „ვერსიამ“ ორ ოფიციალურ ინფორმაციას მიაკვლია, რომელიც რკინიგზის გაყიდვასთან დაკავშირებულ ეჭვებს კიდევ უფრო ამძაფრებს.

„ვერსია“.

### აჭარელ ზურა ცინცქილაძეს ხელისუფლებამ ბათუმში ჩასვლა შეაძულა

– დღევანდელი ხელისუფლება მასხრად იგდებს აჭარას და ამის კარგი გამოვლინება ის დეპუტატია, რომელიც პარლამენტში ჰყავს – ხაბაზი, ამასხარავებენ, ზურგს უკან დასცინიან, ისაა დღეს აჭარის სახე. ხვალ, არ ვიცი, ვინ იქნება, მაგრამ არ მინდა, რომ თუნდაც დუმბაძის მსგავსები იყვნენ. ეგეც იგივეა, დუმბაძისნაირ ადამიანებს არ უნდა ილებდნენ ოპოზიციაში. ეს ის კაცია, რომელმაც ხელვაჩაურის გამგეობიდან გამოყარა ხალხი, ადამიანები, ვინც წერა-კითხვა იცოდნენ და მათ ნაცვლად ჩლუნგები მიიყვანა.

„ქართული სიტყვა“.

ანეკდოტები

– დედაკაცოო, ლატარიაში მანქანა მოვიგე! – გახარებული შევარდება მიხო საკუთარ ეზოში:

– ჩუმათ, ნუ ღრიალებ, დედაჩემი დაიღუპა.

– ვაა, დღეს რა მაგარ ფეხზე ავმდგარვარ!

* * *

მიხო პარიკმახერთან დაჯდება პირის გასაპარსად. პარიკმახერი პატარა ბურთს მიაჩეჩებს ხელში:

– აჰა, ეს ბურთი პირში ჩაიდე. ლოყა გამოგებერება და ადვილად გაგპარსავ.

– რო გადამეყლაპოს?

არა უშავ რა, არ მოგივა არაფერი. გუშინწინ მიტოს გადაეყლაპა და დღეს მამიტანა.

* * *

– მარო, დიდი ქვაბი მათხოვე, რა! – ეძახის მეზობელი:



– ქვაბს კი გათხოვებ, მაგრამ ყურები არა აქ.

ყურები რა... ხაშლამა უნდა მოვხარშო... კი არ უნდა ველაპარაკო?!

* * *

ფსიქიატრიულ სავადმყოფოში:

– ეს პაციენტი მუდმივად რატომ ცდილობს, რომ გაზები გამოუშვას?

ხოო... ეგ ახალი შემთხვევაა ფსიქიატრიულ პრაქტიკაში. მაგას თავი გაზპრომი ჰგონია.

* * *

ზამთარია. ნარკომანი ქუჩაში დგას. ძალიან ცივა და ხელები ჯიბეებში აქვს ჩაწყობილი. ამ დროს ერთი გამვლელი ჰკითხავს:

– უკაცრავად, რომელი საათია?

აუუ, ბრატ, ზაფხულში მკითხე, რა...

* * *

ორი ქალი საუბრობს:

– შენი ქმარი ბევრ ფულს შოულობს?

– ისე რა, როგორც ყველა.

– ლოთობს?

– ისე რა, როგორც ყველა.

– ლოგინში როგორია?

– როგორც ყველა.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77;
599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24